საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი 2 სექტემბერი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 10 მანეთი

ცალკე ნომერი 250 მანეთი. [illegible] 10 მანეთი [illegible] 15 მანეთი. [illegible] 10 მანეთი [illegible] (15 × 2) 300 მანეთი [illegible]
ერთობის ქ. № 4. [illegible] რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან, ტელეფონი 16—62.

№ 199 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 199

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის

## ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ღრმათ დამწუხრებული მამა იოსებ იაკობის ძე და დედა მარიამ მამუკას ასული, ძმები: კოლია, ვანიჩკა, აკაკი და ქსენია შავგულიძენი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ მათი უძვირფასესი შვილის

**მიშა იოსების ძის შავგულიძის**

და რძლის

**გალინა ცინცაძის ასულის**

უდროოდ დაკარგვა. მათი სულის მოსახსენებლად დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი ქუთაისში სალორიის სასაფლაოს ეკლესიაში კვირას 5 ენკენისთვეს გადანილი იქნება მათი სურათი.

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა მინა, ძმები: ალექსანდრე, ერმილე და პავლე, რძლები: ვარდო და თამარი, ძმის შვილები: მამია, ანტალინა, ჟენია, ნატაშა და ალიოშა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

**სამსონ საყვარელის ძე მენაბდის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ამა წლის 31 აგვისტოს, დაკრძალვა მოხდება ამა წლის 2 ენკენისთვეს ნაშუადღევის 3 საათზე ბოხვაურის წმინდა გიორგის ეკლესიაზე. (2745 1—1)

ოზურგეთის რაიონული კოლექტივი ს. ს. დ. მ. პ. აუწყებს ამხანაგებს და თანამგრძნობთ ტრაღიკულად დაღუპვას მოწინავე მუშაკის კოლექტივის წევრის

**სამსონ საყვარელის ძე მენაბდის**

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია ხუთშაბათს, ორ სექტემბერს 3 საათზე ბოხვაურის სასაფლაოზე. (2845 1—1)

თბილისის მეორე რაიონის (ერთობის—უბნის) სახალხო გვარდიის შტაბი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 28 აგვისტოს აგარაკ აბასთუმანში უდროოდ გამოესალმა სიცოცხლეს შტაბის უფროსი წევრი და მდივანი, გვარდიელი

**გიორგი (გიო) იოსების-ძე მუმუშვილი**

ცხედარი უკვე ჩამოსვენებულია თბილისში საკუთარ სახლში (სამოვოლნი ქუჩა) დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

სამუდამოდ გულმოკლულნი და უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი იაკობ სიმონისძე და ეკატერინე იაკობის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 5 სექტემბერს ქ. ხონის მაცხოვრის ეკლესიაში, დილის 11 საათზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად გარდაცვლილ პირველის საყვარელი შვილის ხოლო მეორის დის

**ვერა იაკობის ასულის საღარაძის**

სულის მოსახსენებლად. (2831 1—1)

ღრმად დამწუხარებული ბებია გლახუნ, დედა ციცინო და და ნინო ორაგველიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 2 სექტემბერს ხუთშაბათს ს. შუხუთში (ლანჩ. რაიონი) გორის გვერდის წმიდა გიორგის ეკლესიაში 10 საათზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა მათთვის დაუვიწყარ პირველის შვილისა, მეორის შვილიშვილისა და მესამე ძვირფასი ძმისა

**ისიდორე გიორგისძე ორაგველიძის**

სულის მოსახსენებლად. (კუპ. 798 1—1)

**ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა**

იწვევს საგნების და ენების სრულ უფლებიან მასწავლებლებს ჩოხატაურის საერობო გიმნაზიისთვის, აგრეთვე იწვევს გამგეებს და მასწავლებლებს მაზრის საერობო უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის. მასწავლებლები მიიღებენ (გიმნაზიაში გარდა შტატის ჯამაგირისა, ბინას და გათბობა განათებას. თხოვნები, საბუთები უნდა გადმოეგზავნოს ოზურგეთში, სამაზრო ერობის გამგეობაში. (ნ. 5—4)

**საჯარო შეჯიბრება**

ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველო ამით აცხადებს,

**რომ ორშაბათს 6 ენკენისთვეს**

ა. წ. ქ. ბორჯომში სამმართველოს კანტორის ბინაზე დილის 10 ს. დანიშნულია

**ზეპირი შეჯიბრება**

დუქანის ბაღში ხეხილის მოსავლის იჯარით გაცემაზე. შეჯიბრება დაიწყება 100 ათას მანეთიდან. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთ ევალებათ სამმართველოს სალაროში წინდაწინ შეიტანონ ერთი მესამედი შეფასებულ თანხისა. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე სამმართველოში. (ნ. 3—3)

**თფილისის საპედაგოგიო ინსტიტუტი**

(არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტთან).

ამით აცხადებს, რომ თხოვნების მიღება სწარმოებს

**20 ივლისიდან—30 აგვისტომდე**

როგორც პირველის, ისე მეორე საფეხურისათვის,—ყველა დარგებზე. მიიღება თხოვნები აგრეთვე ინსტიტუტთან არსებულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ყველა კლასებში. მისამართი: თფილისი, დიდი მთავრის ქუჩა, № 91. კანცელარია ღიაა: 8—11 ს. დილით—ყოველ დღე (უქმის გარდა). (ნ. 12—11)

დღეს, ხუთშაბათს 2 სექტემბერს საღამოს 8 საათზე

**ტრამვაის პარკში**

წარმოდგენილი იქნება

**ღვთის კალი გულჯავარი.**

სცენის მოყვარე გრიგოლ ფირიაშვილის სასარგებლოთ.

დასაწყისი სრულ 8 საათ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. კასსა ღიაა სალ. 5—7 საათ. (2839 1—1)

**სამხედრო სასწავლებელში**

თხოვნების მიღება გრძელდება. 1-ლი რიგის უფლებიან ახალგაზრდებს ე. ი. რომელნიც გადასულნი არიან მე-7 კლასში შეუძლიათ მისაღები თხოვნები შემოტანონ. (2840—1—1)

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს. თფილისის ტან-სავარჯიშო საზოგადოება

**„შევარდენში“**

განათლების სამინისტროს ნება დართვით, გაიხსნება 8 თვიანი უფასო ქართული

**ტან-ვარჯიშული სკოლა**

სკოლაში მიიღება ორივე სქესის პირები, საშუალო განათლებით აღჭურვილნი, არა უმცირესნი 18 წლისა და ჯანსაღნი. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ საშუალო სასწავლ. 6 კლასის და ბოლოს 4 კლასის კურსდამთავრებულნი. სწავლა იწარმოებს დილის 8 ს. 1-ლ საათამდე.

ყველა კურს დამთავრებულთ მიეცემათ შტატის ადგილი ტან-ვარჯიშობის მასწავლებლისა რესპუბლიკის სასწავლებლებში.

თხოვნები, სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ მიიღება ყოველ დღე დილის 12-დან 1-ლ საათამდე, არა უგვიანეს 15 სექტემბრისა, განათლების სამინისტროში ტან-ვარჯიშობის მთავარ ინსტრუქტორის სახელზე. თხოვნასთან უნდა იქნას წარმოდგენილი მოწმობები: 1) განათლების შესახებ და 2) მეტრიკული.

სწავლის დაწყებამდე ყველა მსმენელები გასინჯულ იქნებიან ექიმის მიერ.

ტანვარჯიშობის მთავარი ინსტრუქტორი. (ნ. 6—4)

კვირას 5 სექტემბერს დილის 10 საათ.

ქ. თფილისის და თფ. მაზრის კოოპერატივთა კავშირის შენობაში შესდგება რწმუნებულთა

**კრება**

შემდეგი კითხვების განსახილველად:

1) გამგეობის ინფორმაცია საზ. მოქმედების შესახებ 9 ივლისიდან დღევანდლამდე.
2) 1920 წლ. ხარჯთაღრიცხვა.
3) ახალი კოლექტიური ხელშეკრულება.
4) მიმდინარე საქმენი.

თუ ვინიცობაა რწმუნებულთა საკმაო რიცხვი არ შეიკრიბა, კრება მეორედ ინიშნება დღის 11 საათ. იმავე შენობაში იმავე დღეს და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი რწმუნებულიც არ უნდა გამოცხადდეს.

ქალ. თფილისის და თფ. მაზრის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა. (2837—1—1)

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი

**მ. ი. ვოლოხი**

და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33. (2614—ო.)

## აღმოსავლეთისკენ

რუსეთის კომუნისტები სერიოზულად ძირითადათ შეუდგენ აღმოსავლეთის პოლიტიკის წარმოებას.

მათი რევოლიუციონური ფრაზეოლოგია ამ შემთხვევაში მიზნათ ისახავს ყველა კოლონიების განთავისუფლებას ინგლისის და სხვა ევროპიელ იმპერიალისტთა კლანჭებისაგან.

ევროპის გათიშვა კოლონიებისაგან—ასეთია რევოლიუციური ლოზუნგი, რომელმაც უნდა მოაკლოს ევროპის მუშებს საშუალება კაპიტალისტთა სტოლიდან ნამცეცების მიღების, რაც რევოლიუციურ ქარტეხილის მომხრეთ გახდის.

დიდი და მშვენიერი მიზანია, დიდებული აზრი და მისწრაფებაა.

მაგრამ... მაგარი ის გახლავთ, რომ ამ ვარსკვლავისან ლოზუნგების უკან ორგას დიდი პოლიტიკური ცბიერება და უზომო უტოპია.

პოლიტიკური ცბიერება გამოიხატება იმაში, რომ კომუნისტურ რუსეთს, როგორც არა ერთხელ უთქვამს თავის პრესაში, აინტერესებს არა აღმოსავლეთის განთავისუფლება, არამედ დასავლეთის დამარცხება. აქ კოლონიების განთავისუფლება არის არა მიზანი, არამედ საშუალება. და ეს განთავისუფლება იგულისხმება, როგორც ევროპისგან ჩამოშორება, მაგრამ იმავე დროს არ იგულისხმება მათი თვით რუსეთის გავლენიდან განთავისუფლება.

ხოლო ადერბეიჯანი და ჩრდილო სპარსეთი გვაჩვენებს, რომ რუსეთს არა ნაკლებ შეუძლია კოლონიალური პოლიტიკის წარმოება, ვინემ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ამ რიგათ განთავისუფლება აღმოსავლეთის კოლონიების—იქცევა ნამდვილათ მათი ერთი ხელიდან მეორეში გადასვლათ, ე. ი. ხაზინის გამოცვლად, ახალ პატრონის მოპოვებად.

და სხვაგვარად არც შეიძლება. გარეშე ძალის ხელით არასოდეს არ მოსულა თავისუფლება. სპარსეთს, ინდოეთს და სხვას ვერ გაანთავისუფლებს ვერც რუსეთი, ვერც ევროპა. მათი განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ შინაგან ძალთა ზრდით და მოღონიერებით.

კომუნისტურ რუსეთს შეუძლია მიაწოდოს მათ აგიტატორები, რომელი ჯურისაც გინდათ, მიაწოდოს წითელარმიელი, რომელიც ყოველ ქონებას ამოაცლის და აბრძოლებს იგინი, ესე იგი ცეცხლის ალში გახვევს.

ცხადია, ყოველივე ეს ვერ შექმნის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას იმ ადგილებისას, საითკენაც წითელი არმიები მიისწრაფიან.

ამიტომ მარქსის აჩრდილის შეწუხება, ამ პოლიტიკურ მანევრის გაკეთების გამო, რომელიც წინეთ არა ერთხელ გადაუდგამს თვითმპყრობელ რუსეთის მთავრობასაც, სრულიად უადგილოა.

აქ ჩვენ წინ იშლება ორი იმპერიალისტური პოლიტიკური მიმდინარეობის გამწვავებული ბრძოლა ერთი მეორესთან, და მეტი არაფერი.

მაშასადამე რუსეთის პოლიტიკა აღმოსავლეთში არ შეიცავს სოციალიზმის განხორციელების ნიშანწყალსაც, არ წარმოადგენს არც ობიექტიურათ, და არც სუბიექტიურათ აღმოსავლეთის ქვეყნების ნამდვილ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამყარების სურვილს.

მას შეუძლია მხოლოდ ერთი რამეს მიაღწიოს, აღმოსავლეთში საქმე გაართულოს, და ამით დასავლეთის სახელმწიფოები რამდენიმეთ მაინც აიძულოს საბჭოთა რუსეთს დასავლეთში ანგარიში გაუწიონ.

აღმოსავლეთის პოლიტიკა—პოლონეთის ფრონტის დამხმარე მოვლენაა.

ბაქოში ამ ჟამათ აღმოსავლეთის ხალხთა დელეგატები არიან თავმოყრილი.

ჩვენთვის, რომელნიც ვიცნობთ აღმოსავლეთის ხალხებს, უდავოა, რომ ეს ყრილობა ვერ გამოხატავს აღმოსავლეთის წარმომადგენლობას, როგორც შარშანდელი თოვლი. აქ არის შეკრებილი სხვადასხვა პირები, სხვადასხვა ტომისა და ადგილის, რომელნიც ილაპარაკებენ იმათი სახელით, ვისაც მათთვის არ დაუვალებია და შექმნიან ბუტაფორიულ კავშირს, რომელიც ხაზინის სადირიჟორო ჯოხის ჩამოშორებისთანავე გაიფანტება.

ჩვენ ამიტომ არ შეგვიძლია დიდი მნიშვნელობა მივსცეთ თვით ამ ყრილობას. იგი გამოდგება მხოლოდ საბჭოთა ჯარების მსვლელობის დეკორუმათ, სამკაულათ, შესალამაზებლათ. მაგრამ რეალურ ძალას იგი ვერ მოგვცემს. რეალურად დარჩება ქემალ ფაშა და მისი ნაციონალისტური პოლიტიკა. დარჩება თემების და გვარეულობის შინაგანი ბრძოლა აღმოსავლეთის ქვეყნებში და ამ საგვარეულო მიზნებით ახალ მოსულ ძალასთან ე. ი. წითელ ჯართან დაკავშირება.

აი რეალური, ნამდვილი შინაარსი ბაქოს იმ ზეიმის და დღესასწაულის, რომელიც კომუნიზმის სახელით ათასგვარ სამკაულით შეიმოსება...

## ჟირონდისტები და მონტანიარები

(რუსეთ-პოლონეთის გამო).

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დასაწყისში უდიდესი ხეხლა-შემოხლა გამოიწვია მემარცხენე-მემარჯვენეთა შორის საერთაშორისო პოლიტიკაზედ დავამ. მემარჯვენეები, ჟირონდისტების სახით, დიდი მომხრენი იყვნენ რევოლიუციონურ ომის, რომელშიაც ჩათრეული იყო საფრანგეთი. მონტანიარები, რობესპიერების სახით, ებრძოდენ ამ მილიტარისტულ სულისკვეთებას. რობესპიერი იმ აზრის იყო, რომ რევოლიუციონურმა საფრანგეთმა მთელი თავისი ძალ-ღონე უნდა მოახმაროს შინაურ გადაქმნას. ამ კითხვის შესახებ მან წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა იაკობინელების კლუბში. იაკობინელები უფრო წვრილ-ბურჟუაზიის იდეოლოგები იყვნენ. ეს კლასი საზღვრების გაფართოვებაზედ და ახალ-ქვეყნების დაპყრობაზე ნაკლებ ფიქრობდა. ჟირონდისტები კი უმთავრესად ეყრდნობოდენ მსხვილ და საშუალო ბურჟუაზიას, რომელიც უკვე იყო გაჟღენთილი კოლონიალური პოლიტიკის წარმოების სურვილით. „თავისუფალმა საფრანგეთმა უნდა გაანთავისუფლოს სხვა ქვეყნები ტირანებისაგან“—ამბობდენ ჟირონდისტების ორატორები სახალხო კრებებზე, თუ პარლამენტის ტრიბუნიდან. რობესპიერი ამ ბრძოლაში დამარცხდა და იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა რევოლიუციონურ განმათავისუფლებელ ომის ლოზუნგებს. ამ ომის პროცესში ჩამოყალიბდა საფრანგეთის რევოლიუციონური ჯარი, უმთავრესად შემდგარი წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებიდან. ამ ელემენტებს აინტერესებდათ არა ახალი ქვეყნების დაპყრობა, არამედ ის ნადავლი, რომელსაც ისინი უხვად შოულობდენ უცხო ქვეყნებში—განსაკუთრებით იტალია-გერმანიაში. მაშინდელი გერმანიის რევოლიუციონური დემოკრატია სრულებით არ იყო თანახმა უცხო, თუნდაც ეგრედ წოდებულ რევოლიუციონურ ჯარების შემოსევის მის ქვეყანაში, თუნდაც „ტირანებისგან“ განთავისუფლების მიზნით. მაშინდელი ერთი გერმანელი პოეტი სწერდა საფრანგეთის რევოლიუციონერებს: „თქვენ მოგყავთ ჩვენთან პატარძალი (თავისუფლება), რომელიც უკვე ნამუსახდილია“. ჩვენ დღეს ვიცით, რომ არც ერთი კუთხე მაშინდელი ევროპის არ განუთავისუფლებია საფრანგეთის რევოლიუციონურ ჯარს.

რუსეთის საბჭოების ჯარი ვარშავისკენ მიემართებოდა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მოსკოვშიაც არიან ამ შემთხვევაში რობესპიერის აზრის დამცველნი. მაგრამ ისიც ვიცით, რომ რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიით გამსჭვალული პირები ჟირონდისტების გზით მიდიან. უკანასკნელთა აზრით, რუსეთის ჯარების მისიას შეადგენს დაჩაგრულ პოლონეთის ხალხის განთავისუფლება. სრულებით ბუნებრივია, როდესაც პოლონეთის ბურჟუაზია ოცნებობს რუსეთის ნაწილების დაპყრობას. ეს სრულებით შეეგუება მის კლასიურ ინტერესს. მაგრამ, როდესაც რუსეთის წვრილი ბურჟუაზია მიექანება ახალი კუთხეების დასაპყრობად—ეს არ არის კლასიური ინტერესის შედეგი. ეს უფრო აიხსნება დეკლასიური მდგომარეობით გამოწვეულ ახალი ნადავლის შოვნის სურვილით. სოციალისტური ფრაზეოლოგია აქ მხოლოდ სიტყვის მასალაა.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ საზოგადოებრივმა მეცნიერებამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ სხვათა შორის ერთი დიდი მონაპოვარი ის არის, რომ არ შეიძლება ერის განთავისუფლება, თუ შინაგანი ძალებით ის არ თავისუფლდება. უცხო ქვეყანაში შესვლა შეიძლება მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაიპყრო ის. ასეთი იყო საფრანგეთის რევოლიუციის ომის შედეგები. გერმანია ფეოდალურ წყობილებიდან საფრანგეთის რევოლიუციამ ვერ გაათავისუფლა. ხოლო როდესაც თვით გერმანიაში მომწიფდა პირობები—შინაგანი ძალების საშუალებით მოხდა ეს განთავისუფლება. საზოგადოებრივ მეცნიერების ცოდნას ვერ მოსთხოვ პოლონეთის ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. მათი შეჩერება რუსეთის საზღვრებზედ შეიძლება მხოლოდ იარაღით. რაც შეეხება მოსკოვის ყოფილ მარქსისტებს, მათთვის საჭირო არ უნდა ყოფილიყო ვარშავის ხიშტები იმისთვის, რომ უცხო ქვეყანაში არ შეჭრილიყვნენ.

ეტყობა, რომ ლენინს ეწვია რობესპიერის ბედი. როგორც უკანასკნელი ჩაითრია ჟირონდისტების იდეოლოგიამ, ისე მოსკოვის სოვნარკომის თავმჯდომარე ჩათრეულია რუსეთის მეჩშანების მიერ დაპყრობითი ხასიათის ომში.

მაგრამ არის ერთი განსხვავებაც. საფრანგეთის რევოლიუციონური ჯარი პოლიტიკურად და კულტურულად უფრო მაღლა იდგა მის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ძალასთან. ის, დროებით მაინც, აღწევდა გამარჯვებას. რაც შეეხება რუსეთის ჯარს—მისთვის მდგომარეობა უარესია. დასავლეთ ევროპის ხალხი მაზედ უფრო მაღლა სდგას თავისი საერთო განვითარებით. ეს ასეა, თუ მხედველობაში მივიღებთ მთელი ერის დიდი უმრავლესობის გონებრივ ავლა-დიდებას და არა იმ დროშას, რომელიც შემთხვევით ხელში უპყრია ამა თუ იმ ჯარის კაცს.

ბ. თეკლათელი.

## პრესა

„კომუნისტს“ ჩვენი ლოზუნგების წინააღმდეგ, რომელიც შეიცავს ზავის მოთხოვნილების ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე, არაფერი ეთქმის, მაგრამ მაინც ცდილობს მათ სახელი გაუტეხოს ხმის ამაღლება რა დროსია, უნდა ზარბაზანი აახმაურონო. —

„ვფიქრობთ, რომ მარტო ხმის ამაღლება კმაროდეს ამ მდგომარეობის (ე. ი. სოციალიზმის) შესაქმნელათ. ამისთვის საჭიროა ბრძოლა, ბრძოლა მედგარი, რომელსაც აწარმოებს მსოფლიო პროლეტარიატი და ის ზავს დაამყარებს მხოლოდ მსოფლიო ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ. სხვა გზა ნამდვილი ზავის დასამყარებლად მას არ მოეპოვება“.

ჩვენ ერთ წუთსაც არ შეგვდის ეჭვი, რომ ლოზუნგებს აყენებენ იმისთვის, რომ მის განსახორციელებლად მასსა შეკრიბონ და ბრძოლა გააჩაღონ.

ამიტომ ვამბობდით, რომ ეს ლოზუნგები მისცემს საშუალებას მუშათა კლასს მთელი თავისი ძალღონე და არა მარტო სიტყვები, შინაურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართოს და სოციალიზმის განხორციელების ნიადაგი გასწმინდოს-თქო.

მაგრამ ეს არის ბრძოლა კლასიური, ეს არის ბრძოლა მუშებისა ყველა იმ საშუალებებით და იარაღით, რომელიც მათ ხელთ მოეპოვებათ.

„კომუნისტებმა“ კი კლასიური ბრძოლა ომით შესცვალეს. იგი ერთათ ერთ ფორმათ აღიარეს და ამიტომ ჰკონიათ, რომ ბრძოლა არ არის იქ, სადაც ზარბაზნები არ გრიალებენ და ქალაქებს და სოფლებს არ ანადგურებენ.

და რომ ამ თავის ვიწრო და შემცდარ, ყალბ შეხედულებას მეტი ავტორიტეტი მისცენ, ფაქტის გამოგონებასაც არ ერიდებიან და უმატებენ, ამ ბრძოლას მსოფლიო პროლეტარიატი აწარმოებსო.

არა მოქალაქენო, მსოფლიო პროლეტარიატი აწარმოებს კლასიურ ბრძოლას დღესაც ისე, როგორც გუშინ, უკეთ რომ ვთქვათ, დღეს უფრო მწვავეთ, ვინემ გუშინ. მაგრამ ომს აწარმოებს მხოლოდ რუსეთის წითელი ჯარი და არა რუსეთის მუშათა კლასი.

ეს უკანასკნელი აწარმოებს კლასიურ ბრძოლას თვით საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და ამისთვის ხშირათ იღებს ხოლმე პასუხათ ტყვიებს და მათრახებს.

## საქართველო ინგლისურ სარკეში

(წერილი ლონდონიდან)

**წინად**

წინათ ასე იყო: რუსეთის მართვა-გამგეობისათვის საქართველო არ არსებობდა. იყო მხოლოდ ორი გუბერნია და რამოდენიმე ოლქი, განაპირა კუთხეში, „ინოროდცებით“ დასახლებული. რუსეთის მთავრობისათვის არ არსებობდა საქართველოს საკითხი, ისე, როგორც იყო საკითხი პოლონეთის ან ფინეთის. რუსეთის თვითმპყრობელობისათვის იყო მხოლოდ ხალხი, რომელიც დღეს თუ არა ხვალ, უნდა გადაგვარებულიყო და ამიტომ რუსიფიკატორულ პოლიტიკას ფართო ასპარეზი ეძლეოდა.

არც თვით ამ ორი გუბერნიის ხელში იყო დასმული საკითხი საქართველოს შესახებ, ისე რომ ყურადღებო ფართო სამსჯელო საკითხათ გადაქცეულიყო და კამათს მიეღწია დასავლეთ ევროპამდე. რუსეთის თვითმპყრობელობის ადმინისტრატიულ და პოლიტიკურ მუხრუჭებში გამოხუთული ქართველი ხალხი ევროპის პრესისთვის არ არსებობდა, ერთი ან მეორე მოხეტიალე მოგზაური—არქეოლოგი თუ ეწვეოდა ამ გუბერნიებს და იგიც ბრუნდებოდა უკან ისე, რომ ნათელ წარმოდგენას საქართველოზე ვერ ღებულობდა. გასაკვირველი არ არის, თუ ევროპის პოლიტიკურ საზოგადოებისათვის, საქართველო სრულებით არ იყო ცნობილი და როდესაც რევოლიუციის ქურიდან საქართველო გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ბევრი გაკვირვებით და ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა მას. საქართველოს არ იცნობდენ არამც თუ ფართო მასსაში, თვით მოწინავე პოლიტიკურ წრეებსაც კი არ ჰქონდათ წარმოდგენა მასზე, და თუ ვინმე დაინტერესდებოდა და ბრიტანეთის ენციკლოპედიურ ლექსიკონში მონახავდა: ჯორჯიას (საქართველოს), იქ ათიოდე სტრიქონს გადაიკითხავდა და ვერაფერს გაიგებდა გარდა იმისა, რომ საქართველო (ჯორჯია) განთქმულია ლამაზი ქალებითო. ამიტომ გასაკვირი სრულებითაც არ იყო, როდესაც საქართველოზე ლაპარაკი ჩამოვარდებოდა, თუ გკითხავდენ ხოლმე, რომ საქართველოში მართლა ლამაზი ქალები არიან თუ არაო. ამით ამოიწურებოდა მთელი ის ცოდნა, რომელსაც დაინტერესებული პირი მოსძებნიდა თავის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ. გარდა რამოდენიმე თარგმანისა, ინგლისურ ენაზე ვერ იპოვით ისეთ მასალას, რომელიც საქართველოს გაგაცნობდეს, გაგაცნობდეს საქართველოს ისტორიას და მდგომარეობას რუსეთში თავის შეფარების დროს. როდესაც წიგნის მაღაზიის ლექსიკონების განყოფილებაში შეხვალთ და იკითხავთ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონს, პატრონი განცვიფრებული შემოგხედავთ და გეტყვით, რომ ასეთი მას არაფერი გაუგონია, სამაგიეროთ წიგნის მაღაზია სავსეა ლექსიკონებით არაბულ, სპარსულ, სანსკრიტულ, მონგოლურ, მალაურ და ისეთ ენებით, რომელიც თქვენ თვითონაც არ გაგიგონიათ.

ასეთი უსუსური მდგომარეობა იყო საქართველოსი, როდესაც იგი შემოიჭრა

# დღეს

ბოლშევიკების ცნობით პოლონეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარი იგერიებს მტრის იერიშებს. ყუბანის ნაპირად გადმოსხმული ვრანგელის დესანტი საბჭოთა ჯარმა გაანადგურა.

ლონდონში მიღებული ცნობით ბოლშევიკების დანაკლისი პოლონეთის ფრონტზე ასეთია: მოკლულია 40 ათასი კაცი. ტყვედ არის წაყვანილი 80 ათასი.

იტალიის რადიო-ცნობით ვრანგელის ჯარმა კვლავ გაიმარჯვა ყუბანის ოლქის დასავლეთ ნაწილში.

საზავო მოლაპარაკება პოლონელების მოთხოვნით მინსკიდან გადატანილი იქნება რიგაში.

ლიონის ცნობით საფრანგეთის ჯარებმა არაბებთან ბრძოლის დროს იძულებულნი გახდნენ დამასკი დაეტოვებიათ.

რუმინეთის პრეს ბიურო უარყოფს ცნობას რუმინეთის კაბინეტის გადადგომის შესახებ.

---

**ბათუმი, 31 აგვის.** სოფელ ხამებაში (ქობულეთის რაიონი) სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ფიჩულიამ დაიჭირა აჭარელ ბანდების მეთაური კიჭკინ ზადე და მისი ამხანაგები: ნური გოგიტიძე, იზმაილ ჯიჯიგიძე და სხვები. დატუსაღებულებს თფილისში გამოგზავნიან. (დ. ს.)

---

საერთაშორისო პოლიტიკის სარბიელზე —და როდესაც გაზეთებმაც აღნიშნეს „საქართველო"—„ჯორჯია." ინგლისის თვალი უნებურათ აკვირდებოდა გეოგრაფიულ ქარტას და ნახულობდა მას ამერიკაში,—მაგრამ მადლობა უნდა ეთქვას კორესპოდენტს, რომ ისინი ხშირათ იხსენიებდნენ შავ ზღვას, ბათომს ბოლშევიკებს, და ამით ამერიკიდან ყურადღება აზიისაკენ გადადიოდა. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ, დაინტერესებულ ევროპიელს გული დასწყდებოდა მხოლოდ როდესაც ამ „ახალი" ქვეყნის შესახებ ვერაფერს გაიგებდა.

**დამოუკიდებლობის შემდეგ**

საქართველოსათვის მეტათ ცხადი იყო, რომ იგი უნდა გაცნობოდა ევროპას, რომ მას უნდა გაეცნო თავისი თავი ევროპისათვის. ეს იმდენათ აუცილებელი და საჭირო იყო პოლიტიკურ მიზნებისათვის, რომ ამაში ეჭვიც არაის უნდა შეჰპარვოდა. ჩვენ გვახსოვს გაზეთი „ბორბა" როგორი სიხარულით ათავსებდა უცხო პრესიდან ამონაწერებს საქართველოს შესახებ; ხშირათ არა სასიამოვნო და გულსატკენი იყო ეს ფაქტი, მაგრამ მაინც ვბეჭდავდით და ვამბობდით: აი, შეხედეთ ჩვენზე სწერენ და რას სწერენო. მაგრამ ჩვენდა სავალალოთ სწერდნენ ჩვენს შესახებ ისინი, ვინც ჩვენ არ გვიცნობდნენ, ან ვისაც არ უნდოდა, რომ ჩვენ ვეცნეთ. აშკარაა, პოლიტიკური დელეგაციების და მისიების პირდაპირი მიზანი უნდა ყოფილიყო ამ დარგში ინტენსიური მუშაობა დაეწყოთ და საქართველო გაეცნოთ ევროპისათვის. მართლაც, პოლიტიკური ასეთი მუშაობა დაიწყო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, უნდა ვსთქვათ რომ მას იმდენათ ფართო ხასიათი არ მიუღია. მიუხედავათ იმისა, რომ ევროპის სახელმწიფოების ყველა დიდ ცენტრში საქართველოს ჰყავდა თავისი წარმომადგენელი, ხშირათ მისიაც, უნდა პირდაპირ აღინიშნოს, რომ საინფორმაციო მუშაობას შედარებით სუსტად სწარმოებს. იმ უმზგავსო ჭორებსაც არ უარყოფთ, რომელიც დრო-გამოშვებით რომელიმე გაზეთში იბეჭდებოდა. ეს ფაქტია და ამას აღვნიშნავთ, რათა საგარეო სამინისტრომ ყურად იღოს ეს მოვლენა და გამოასწოროს.

**„ი ხ ვ ე ბ ი".**

თქვენ გახსოვთ, რომ ჯიქოხეთური ომისა და „სისხლის წვიმების" დროს, ყველაზე უფრო ერთი დეპეშათა სააგენტო მუშაობდა და ჰფენდა მთელ მსოფლიოს ომის და სხვა დიდ პოლიტიკურ ამბების ცნობებით. ეს დიდი დეპეშათა სააგენტო იყო კოპენჰაგენში, საიდანაც პრესას არა ერთი და ორი მტკნარი სიცრუე და ჭორი მიუღია. ჭორების და სიცრუის გავრცელებამ ისეთი ფართო მიმართულება მიიღო, რომ კოპენჰაგენის ცნობებს საკუთარი სახელიც კი დაერქვა და ეს სახელი იყო: „კოპენჰაგენის იხვი".

ომის დასრულების შემდეგ ეს „პირნათელი" მოვალეობა დაიკისრა კონსტანტინოპოლმა, რომელიც აღმოსავლეთის ამბებს უტრიალებდა და ქვეყანას ამგვარ ცნობებით სჭედდა.

„კონსტანტინეპოლის იხვმა" განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა საქართველოსთვის. არც ერთ ქალაქს ისეთი დიდი ზიანი არ მიუყენებია საქართველოსთვის, როგორც კონსტანტინოპოლს, სადაც თავი აქვს მოყრილი თითქმის მთელი მსოფლიოს პრესის კორესპოდენტს.

კონსტანტინოპოლი ამ შემთხვევაში ავტორიტეტულადაც კი ითვლება და იქიდან წამოსულ ცნობებს ფართო გასავალი აქვს და გაზეთები გულღიათ უთმობენ მას ადგილს. და აი ჩვენ გვაინტერესებს ამ „იხვის" ამბავი და მოკლეთ დავახასიათებთ მის მოღვაწეობას საქართველოს შესახებ.

კონსტანტინეპოლის „იხვს" საქართველო არ უყვარს, არ მოსწონს და დაჟინებით გაიძახის, რომ საქართველო არსებითად იგივე ბოლშევიკური ქვეყანაა, რომ ჟორდანია და რამიშვილის კომპანია იგივე ბოლშევიკებია, მხოლოდ ნიღაბ აფარებული; რომ საქართველოს პოლიტიკა და ეკონომიკა პირწავარდნილი ბოლშევიკური ტაქტიკა და პრაქტიკაა, მხოლოდ თეთრ უმარილო წაცხებული.

მეორე მხრივ ეს ნიღაბიანი ქვეყანა ისეთ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს, რომლითაც სურს მრავალ დროების ნაწამები და ტანჯული ერი—სომხეთი ფეხქვეშ გასთელოს და ნაცარ-მტუტათ აქციოს. სომხეთს თავს ესხმიან გარეთ, სომხებს აწამებენ და სდევნიან შიგნით; სომხებს ხელს უშლიან გარეთ. სომხებს ახრჩობენ შიგნით. ასეთი არის ერთი „იხვი", რომელიც კონსტანტინეპოლიდან მუდამ ასეთი ცნობებით მოფრინავს ევროპისაკენ და უმასპინძლდება ამ ცნობებით მრავალ გაზეთს.

მაგრამ განა მარტო ერთი „იხვი" მოფრინავს კონსტანტინეპოლიდან? აი, მეორე „იხვი" მოუთხრობს პრესას, რომ საქართველო, მართალია, არ არის წმინდა ბოლშევიკური, მაგრამ ამ ორ სამ დღეში იგი ბოლშევიკურათ გადაიქცევა, თუ არ გადაიქცა, სულ ერთია, ბოლშევიკები მას აიღებენ და ხელში ჩაიგდებენ,—ეს იყო არა მარტო წინასწარმეტყველება, არამედ—იყო დაბეჭდილი კიდეც ამბავი, რომელიც შემდეგს მოგვითხრობდა ამ სათაურით: „წითლები თფილისში": „გუშინ წითლებმა ხელთ ჩაიგდეს თფილისი და ბოლშევიკური მთავრობა გამოაცხადეს. ჟორდანიას მთავრობა გაიქცა ბათუმში. მთელი ხალხი ბოლშევიკებს ზეიმით შეხვდა". და აქედან კორესპოდენტი ამართლებს იმ თავის პირველ ცნობებს, სადაც აღნიშნავდა, რომ საქართველო ბოლშევიკურია, რომ ჟორდანიას მთავრობას არ აქვს ნიადაგი და სხვა. ამით იგი, რასაკვირველია, ამტკიცებდა თავის პოლიტიკურ გამჭრიახობას და წინდახედულებას და პატივს იმატებდა სარედაქციო კოლეგებში.

არის კიდევ მრავალი „იხვი" უნდა ვსთქვათ, ბიროტი იხვი,—მაგრამ ჩვენ ერთს მივაქცევთ ყურადღებას. ესაა ის, რომელსაც მოაქვს ცნობები ვაჭრობა-მრეწველობის და მუშათა საკითხის შესახებ. საქართველოს ბირჟებზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს, მაგრამ როდესაც კორესპონდენტი ახასიათებს საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის პოლიტიკას, აქ დასკვნა მხოლოდ ერთია: რომ საქართველოს მთავრობა არის ცარცვა-გლეჯის, მრეწველობის განმანადგურებელი და ვაჭრობის განმათახსირებელი პოლიტიკის მწარმოებელი. რომ სცარცვავენ და გლეჯენ განსაკუთრებით უცხოელ ვაჭრებს და მოყავთ მაგალითები: ბერძნების „კომპანიას" წაართვეს თამბაქო, ინგლისელებს წაართვეს თამბაქო, ეგვიპტის კომპანიას წაართვეს თამბაქო, ფრანგულ კომპანიას წაართვეს მატყლი, და ვის არ წაართვეს?! ყველას წაართვეს ვისაც კი რაიმე ქონდა ნაყიდი საქართველოში! მუშები? მუშები არ ასრულებენ თავის მოვალეობას, ესე იგი, არ მუშაობენ. მუშები გულზე ხელდაკრეფილნი არიან და ბრძანებას სცემენ მხოლოდ. მთავრობასაც ეშინია მათი და ემორჩილება მათ. აქ სცენაზე გამოდის უკვე გვარდია და ველიკო ჯუღელი. კონსტანტინეპოლის „იხვი" მოგვითხრობს, რომ გვარდია ბოლშევიკურია, რომ ჯუღელი მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, იგი ყოფილი ბოლშევიკია, და ამიტომ ბოლშევიკებთან მალე წავა, შეურიგდება მას. ამის ეშინია მთავრობას და ჯუღელის და გვარდიის შტაბის დადგენილებას და ბრძანებას სიტყვამოუბრუნებლათ ასრულებს. საერთოდ, ეს ქვეყანა გაკოტრების გზაზეა და მას ვერაფერი ვერ გამოასწორებს, რომ იქ ბოლშევიზმი მალე გაიმარჯვებს და სხვა და სხვა, რაიც ოდნავადაც სინამდვილეს არ შეეფერება.

ვიქტორ ნოზაძე.

(შემდეგი იქნება)

---

## მოწოდება რკინისგზელებისადმი

რკინის გზელთა პროფესიონალური კავშირების ცენტრალურმა გამგეობამ შემდეგი მოწოდება დაგზავნა მთელს ხაზზე:

ამხანაგებო! ცენტრალურმა გამგეობამ კავშირის ორგანოებთან შეთანხმებით თანახმად ჩვენი წესდებისა, თავისი დეზორგანიზატორული მუშაობისთვის კავშირიდან გამორიცხა სამტრედიის დეპოს მოსამსახურენი: კიმოთე შენგელია, მიტრ. ჯანელიძე, ლუარსაბ ჯანელიძე და ვ. ტორონჯაძე.

მათ დაუმტკიცდათ კავშირის წინააღმდეგ მოქმედება და შეგნებულად დარღვევა კავშირის პრინციპისა, რაც ყოვლად დაუშვებელია ორგანიზაციული თვალსაზრისით.

რკინის გზის დემოკრატია ამათ კარგად იცნობს, მათ აქვთ თავისი ისტორია, ისინი მუდამ სწამლავდენ რკინის გზის ატმოსფერას თავიანთი ინტრიგანობით. დღეს ეს დეზორგანიზატორები ეწევიან ხაზზედ სასტიკი ბრძოლას კავშირის წინააღმდეგ და მოუწოდებენ ამხ. რკინისგზელებს გაფიცვისაკენ. ასეთი დეპეშა ამ დეზორგანიზატორებმა კიდეც გაგზავნეს ხაზზედ და კრებებსაც აწყობენ. მათ უმთავრესად გვერდში უდგანან ყველა შტატს გარეშე დარჩენილი მოსამსახურენი და მერყევი ელემენტები.

ისინი არ უწევენ ანგარიშს დღევანდელ პოლიტიკურ პირობებს, არ აქცევენ ყურადღებას სახელმწიფოს მდგომარეობას და თავიანთი გამოსვლებით ძირს უთხრიან დემოკრატიულ პრინციპებს და თვით სახელმწიფოს. დღეს ყველამ კარგათ იცის, თუ რას ნიშნავს გაფიცვა რკ. გზაზედ, რომელიც ძარღვია ჩვენი რესპუბლიკის. აქ ერთი წუთითაც რომ შეჩერდეს მოძრაობა, აუარებელი ზარალი მოუვა სახელმწიფოს, რომელიც შექმნა დემოკრატიამ და რომელსაც განაგებს იგივე დემოკრატია. და აი ასეთ პირობებში გაფიცვა განა არაა დემოკრატიის ღალატი, დემოკრატიულ პრინციპების ფეხქვეშ გათელვა? კავშირის წესდების მესამე პარაგრაფის მიხედვით გაფიცვას გამოცხადების უფლება აქვს დელეგატთა ყრილობას და ცენტრალურ გამგეობას და არა ორსა და სამ პირს. ამათ ამ შემთხვევაშიაც დაარღვიეს კავშირის პრინციპები და მოუწოდებენ ხაზს გაფიცვისაკენ. რკინის გზის დემოკრატია ყოველთვის იდგა თავის სიმაღლეზედ. მას არასოდეს არ დაუშვია ძირს რევოლიუციის დროშა. ცენტრალურ გამგეობას იმედი აქვს, რომ ის არც დღეს აყვება ორიოდე განაწყენ პირთ და არ წამოეგება მათ მიერ გადასროლილ ანკესზედ. ცენტრალური გამგეობა მოუწოდებს [illegible]

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

1 სექტემბერი.

[illegible]

**ზავი სურს.**

ჩიჩერინმა პოლონეთის მთავრობის თავმჯდომარეს აცნობა, რომ საბჭოთა მთავრობას სურს პოლონეთთან ზავის ჩამოგდება და კეთილ მეზობლურ განწყობილების დამყარება.

**ბოლშევიკური პროპაგანდის იარაღი.**

„დეილი გეროლდმა" ბოლშევიკურ პროპაგანდის ორგანომ ბერლინში გამოაქვეყნა ტექსტი საიდუმლო ხელშეკრულებისა, რომელიც თითქოს საფრანგეთის მთავრობასა და ვრანგელს შორის დაიდვა. მაგრამ პარიზის ავტორიტეტულ წრეებში ამის შესახებ არავითარი ცნობები არ არის. ეს დოკუმენტი, სწერს „ტანი", თავიდან ბოლომდე სიყალბეაო.

**სირიაში.**

სირიაში ზოგიერთი გაზეთის ცნობით საფრანგეთის ჯარები იძულებული გახდნენ არაბების მოწოლის გამო დამასკი დაეტოვებიათ, მესინიდან გაიგზავნა მაშველი ჯარები. გენერალ გუროს მიერ მიღებულ ზომების წყალობით არაბთა შორის მშვიდობიანობა მყარდება.

**გერმანიის ელჩი პარიზში.**

პარიზში მყოფმა გერმანიის ელჩმა ორშაბათს დილით საფრანგეთის გარეშე საქმეთა მდივანს ოფიციალურად განუცხადა, რომ ის შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

**სკანდინავიის სახელმწიფოთა კონფერენცია.**

დანიის მთავრობის წინადადების თანახმად კოპენჰაგენში შესდგა დანიის, ნორვეგიის და შვეციის პრემიერ და გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენცია. იმსჯელეს საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ. ჰქონდათ მსჯელობა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებაც.

**უარყოფა.**

რუმინეთის პრესბიურო უარყოფს ცნობას რუმინეთის კაბინეტის გადადგომის შესახებ.

## ბოლშევიკების ცნობები

**სამხედრო ცნობა.**

**მოსკოვი.** სექ. 1. აგვისტოს 31 ბელოვეჟსკთან მტერი შეტევაზე გადმოსვლას ეპირებოდა, მაგრამ მოივგერიეთ, მტერი ზოგიერთ ადგილას მდინარე ბუგზე გადასვლას ფიქრობდა. მტერს აქაც უკან დავახევინეთ დაბა დუბენკამდი. ბრძოლები გრძელდება. ბრძოლებია გრუბეშოვის ქვევითა ბრესტლიტოვსკის რაიონში მტრის ცდა შეტევაზე გადმოსვლისა მოვიგერიეთ. ლვოვის რაიონში მოვიგერიეთ მტრის ცხარე იერიშები.

**შიში სამხედრო წრეებში.**

ლონდონისა და პარიზის და განსაკუთრებით კი პარიზის სამხედრო წრეები შიშს გამოსთქვამენ იმის გამო, რომ შესაძლებელია სამხედრო ბედი ისევ პოლონეთის წინააღმდეგ მიბრუნდეს. ბურჟუაზია და კაპიტალისტური პრესა პოლონეთის ფრონტზე სამხედრო დახმარების სასწრაფოდ გაგზავნას მოითხოვენ.

**ხელი შეუშალონ ახალ ომს.**

კოპენჰაგენში შემდგარმა ლითონზე მომუშავეთა საერთაშორისო კონგრესმა რომელსაც 11 ქვეყნიდან დელეგატები დაესწრო, მიიღო რეზოლიუცია: ხელი შეუშალონ ახალი ომის დაწყებას ყოველგვარ ცდას.

[illegible] წარმოებს. 4 თვე არის, რაც რუსეთის მუშა და გლეხებს მიაქვთ ომის სამსხვერპლოზე თავისი სისხლი, ქონება და სიცოცხლე. ჩვენ ვარშავის კარებთან ვიდექით, მაგრამ პოლონეთმა გვაიძულა დაგვეხია უკან თითქმის პოლონეთის ეტნოგრაფიულ საზღვრამდე. მაგრამ ჩვენ გადავლახავთ ყოველგვარ დაბრკოლებას. ამ იმედს აღვივებს ჩვენში ყოველი მხრიდან მოსული ცნობები იმის შესახებ, რომ პარტიულ და პროფესიონალურ მუშაკების მობილიზაცია შეუწყვეტლივ მიმდინარეობს. ჩვენი ძალა უფრო მტკიცდება და ამიტომ ჩვენ კვლავ მზათა ვართ—საბრძოლველად.

**შინაურ საქონლისათვის ზრუნვა.**

„იზვესტია" სწერს: წარსულ ზამთარში რუსეთში 50 პროც. მეტი შინაური საქონელი დაიღუპა უქმელობით. გლეხებს ნაკლები საქონელი დაეღუპათ, ვინაიდან მათ კიდევ ქონდათ შემონახული თივა და ჩალა. ამ ზამთარში მდგომარეობა უარესი იქნება. დანაშაული და სისულელე იქნება ჩვენი მხრით ასეთ დროს გულზე ხელდაკრეფილი დავმჯდარიყავით. საქმეს ეხლავე უნდა შევუდგეთ, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

**შორეულ აღმოსავლეთში.**

შორეულ აღმოსავლეთში მყოფ საბჭოთა მთავრობის რწმუნებულმა ვილენსკიმ, რომელიც ვლადივოსტოკიდან დაბრუნდა, შორეულ აღმოსავლეთის საერთო მდგომარეობის შესახებ განაცხადა, რომ მოკლე ხანში საბჭოთა რუსეთის და იაპონიის შორის ომი მოსალოდნელი არ არისო. მას შემდეგ, რაც ჩინეთში იაპონიის ორიენტაციის მომხრე მთავრობა დაეცა, იაპონიის იმპერიალიზმი ჩინეთში საქმის ახალ მიმართულების წინ დადგა.

## გერმანული ცნობები

**ბაზრობა.**

ფრანკფურტში სექტემბრის 3—9 მოხდება შემოდგომის ბაზრობა.

**ზემო სილეზიაში.**

ზემო სილეზიაში მყოფ მოკავშირეთა კომისია აცხადებს: უმაღლეს საბჭოს არ მიუღია ღონისძიება პლებისციტის გასახორციელებლათ.

**დემონსტრაციები ბერლინში.**

კვირას ბერლინში მასიური დემონსტრაციები მოხდა. გარდა კომუნისტებისა და დამოუკიდებლებისა ყველა პარტიის წარმომადგენლებმა ილაპარაკა. მოითხოვეს პოლონეთის ბანდების განიარაღება, დამნაშავეთა მკაცრი დასჯა და არეულობის ჩამდენთა გაძევება. მუშებმა მთელი ქვეყნის მუშებს რადიოთი დახმარებისათვის მიმართეს. კანცლერსა და პოლონეთის საკონსულოსთან დემონსტრაციას არეულობა არ გამოუწვევია.

---

**საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.**

1 სექტემბერი

**სამხედრო ცნობა 31 აგვისტო.**

**მოსკოვი** 1 სექტემბერი **პოლონეთის ფრონტი.** ბელოვეჟის ტყეში მტერზე იერიშები მივიტანეთ მტერმა რამდენიმე ალაგას სცადა მდ. ბუგზე გადმოსვლა, მაგრამ დაბა დუბენკასთან უკუვაგდეთ. ბრძოლა გრძელდება. გრუბეშოვის სამხრეთით ბრძოლა. ბრესტლიტოვსკის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ლვოვის და ბუჩაჩის რაიონებში მოწინააღმდეგის განმეორებითი მკაცრი იერიშები მოვიგერიეთ.

**ვრანგელის დესანტის ლიკვიდაცია**

**ეკატერინოდარი** 31 აგვ. ყუბანის ნაპირზე გადმოსხმული ვრანგელის დესანტი გავანადგურეთ. დესანტი ფაქტიურად აღარ არსებობს და მისი სულ მცირედი ნაწილები მთიან ადგილებს თავს აფარებენ.

გაერთიანებულ რაზმის უფროს ამხ. კავტიურისაგან ამხ. ტროცკიმ შემდეგი ცნობა მიიღო. „მოგახსენებთ, რომ 28 აგვისტოს ჩვენ რაზმთან ერთად სტანცია №-დან 2 ვერსზე გავჩნდით. გათენებისას სტანციაზე იერიში მივიტანეთ და ქუჩებში გამართულ მკაცრ ბრძოლების შემდეგ იგი ავიღეთ. სტანციაში ხელთ ვიგდეთ ულაგაის მთავარი შტაბი, სხვა რამდენიმე შტაბი, წამოვიყვანეთ ტყვეთ მრავალი აფიცერი და 1000-ზე მეტი ჯარის კაცი. სამი გენერალი ავკუწეთ. ჩვენ მხარეზე მოკლულ დაჭრილთა რიცხვი 20 არ აღემატება. ხელთ ვიგდეთ დიდი ძალი იარაღი, სამხედრო მასალა, ჯავშ იანი ავტომობილი, ტეხნიკური ქონება და სხვა დავლა.

**ქემალ ფაშის შტაბის სამხედრო ცნობა.**

**ანგორა,** 12 აგვისტო. დასავლეთის ფრონტზე და იზმიდის სამხრეთ აღმოსავლეთით სომხეთა და ბერძენთა ბრბოების მხეცობა გრძელდება. სხვა რაიონებში მდგომარეობა უცვლელია.

**აღმოსავლეთის ფრონტზე** სად. ნახიჩევანის დასავლეთით 5 კილომეტრის მანძილზე რკინის გზის ლიანდაგის ასაყრელად გაგზავნილი სომხეთა რაზმი წითელ ჯარების ყარაულს წააწყდა და იძულებული იყო უკან დაეხია ფრონტის დანარჩენ ნაწილებში უმნიშვნელო შეტაკებებია.

**ადანის ფრონტზე** საფრანგეთის რაზმმა, რომელმაც ის იყო ჯაბლისი დაიპყრა, უკანვე დაიხია. სოფ. ტალკედისკენ, მდ. ეფრატის, აღმოსავლეთით 20 კილომეტრის მანძილზე. სხვა რაიონებში მდგომარეობა უცვლელია.

**კოოპერატორების საქმე.**

**მოსკოვი** 1 სექტ. (რადიო) 30 აგვისტოს ქსენოფონტოვის თავმჯდომარეობით უმაღლეს ტრიბუნალში გაირჩა „კოოპერატორების საქმე" საბრალმდებლო სკამებზე სხედან გამოჩენილი კოოპერატიული მოღვაწენი; კოროვოვი, ლავრუხინი, კუზნეცოვი, კერენსკის დროის 2 ყოფილი მინისტრი—ნიკიტინი და გვოზდიოვი „ცენტროსექციის და „ცენტროსოიუზის" რამდენიმე რწმუნებული და აგენტი. მათ ყველას ბრალდება მუშათა და გლეხთა მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკის ჩაშლელად მიმართული აქტიური მოქმედება, დენიკინისა და იუდენიჩისთვის ნიადაგის მომზადების მიზნით. კოროვოვის, კუზნეცოვის და ლავრუხინის ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ისინი გაურბოდნენ მთავრობის მიერ დანიშნულ გამგეობის წევრებთან თანამშრომლობას.

---

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

1 სექტემბერი

**რუსეთი და ამერიკა.**

**ვაშინგტონი.** 20 აგვ. რუსეთის საკითხთან დამოკიდებულების შესახებ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობა თავის ნოტაში აცხადებს: მთავრობა, თუმცა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევაზე უარს აცხადებს, მაგრამ იგი გულითად სურვილს გამოსთქვამს, რომ რუსეთის ხალხმა შესძლოს ახლო მომავალში მტკიცე მთავრობის შექმნის პირობების გამონახვა. ისეთი მთავრობის, რომელიც ხალხის ნების გამომხატველი იქნება. საბჭოთა მთავრობა მიუხედავათ იმისა, რომ 2 1/2 წელზე მეტი აქვს ძალა უფლება ხელში, არ არის მოწადინებული მოიწვიოს დამფუძნებელი კრება. იმდენ ხანს ბოლშევიკები საერთო სახალხო არჩევნებს უარყოფდენ და დასცინოდნენ მას. მაშინ, როდესაც ყველგან საერთო საარჩევნო უფლება იმარჯვებს, ბოლშევიკებმა, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენენ, ძალა-უფლება ხელში ძალით ჩაიგდეს და ამავე ძალით უპყრიათ იგი დღესაც. როდესაც რუსის ხალხი შესაფერ მთავრობას შექმნის, შეერთებული შტატები რუსეთს რეალურ დახმარებას გაუწევს. მაგრამ ამ ჟამად საჭიროა რუსეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობის დაცვა და ამის შესახებ მოკავშირე სახელმწიფოებმა თავისი აზრი ხმა მაღლა უნდა განაცხადონ. უცხო ჯარები რუსეთის ტერიტორიიდან უნდა გამოიყვანონ. პოლონეთმა და ფინლიანდიამ საქვეყნოდ უნდა განაცხადონ, რომ ისინი თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებს არ გასცილდებიან. ასეთ შემთხვევაში ბოლშევიკებს არ ექნებათ საშვალება გააღვიძონ რუსის ხალხში პატრიოტული გრძნობა და მოუწოდონ მას სახელმწიფოს დასაცავად.

**ბოლშევიკები სპარსეთში.**

**კონსტანტინოპოლი.** 23 აგვ. თანახმად თეირანიდან მოსული ცნობისა სპარსეთის ჟანდარმერიამ დაამარცხა ენზელიდან მოსული ბოლშევიკთა ჯარები.

**ბუდიონი და კორნიცკი.**

**ლონდონი.** 20 აგვ. „ტაიმსი" იუწყება: რომ რუსი ბუდიონი და პოლონელი გენ. კორნიცკი ერთმანეთს ახლო იცნობენ. ბუდიონი ომის პირველ წელში გენ. კორნიცკის „დენშჩიკი" იყო. გენერალი ბუდიონს ნიჭიერ კაცად სთვლიდა.

**იმედი არ გამართლდა.**

**მოსკოვი.** 15 აგვ. „პრავდა" აღნიშნავს, რომ მართალია ჩვენს დამკვრელ საწარმოვო პროგრამაზე ბევრი ვწერეთ, მაგრამ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენი იმედი არ გამართლდა. უმთავრესი ქარხნები კოლომენის და მტიშჩენის სათბობ მასალის უქონლობის გამო ვერ მუშაობენ. კულებაკის და ბექსუნის ქარხნების წარმოება ძლიერ დაეცა. ყველა ქარხანა მუშა ხელის ნაკლოვანებით იტანჯება. სასურსათო საქმის მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია.

**საზავო მოლაპარაკების შედეგი**

**ვარშავა** პოლონეთის დელეგაცია მინსკიდან ვარშავაში დაბრუნდა. შემდეგი მოლაპარაკება ნეიტრალურ ქალაქებში შესდგება, მოლაპარაკების მინსკიდან გადატანას პოლონეთის გამარჯვებათ სთვლიან.

**შავი ზღვის ფლოტი.**

**მოსკოვი.** (რადიო) მთელი შავი ზღვის ფლოტი უცხოელებზე არის გაყიდული.

**სამხედრო მასალის დაკავება.**

გერმანიის რკინის გზელებმა პოლონეთში გაგზავნილი სამხედრო მასალა კარლსრუეში დააკავეს.

**ქემალისტების იარაღი და ფული.**

**კონსტანტინოპოლი.** (რადიო) არსებობს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ქემალისტები იარაღს და ფულს საბჭოთა რუსეთიდან იღებენ.

**ბოლშევიკების დანაკლისი.**

თანახმად ლონდონში მიღებულ ცნობისა ბოლშევიკების დანაკლისი პოლონეთის ფრონტზე შემდეგია: მოკლულთა რიცხვი უდრის 40,000 კაცი, 80,000 კაცი ტყვეთ არის წამოყვანილი, დაკავებულია 30,000 კაცი უკანასკნელნი ავსტრიაში იმყოფებიან.

**მეორე ინტერნაციონალის კონგრესი.**

**ჟენევა.** გაიხსნა მეორე სოციალისტური ინტერნაციონალი. კონფერენციას საერთაშორისო სოც.-დემ. გამოჩენილი წარმომადგენლები დაესწრო. სამანდატო კომისიამ გამორიცხა საფრანგეთის სოციალისტები, რომლებიც ახალ სოციალისტურ პარტიაში შედიან. ყურადღებას იქცევს ინგლისისა და გერმანიის სოციალისტების ერთსულოვნება.

— ომის პასუხისმგებლობის გამომრკვევ კომისიამ ერთხმად მიიღო ფრანგ დეპუტატ როზკეს მიერ წამოყენებული რეზოლიუცია 1) ბისმარკის გერმანიამ 1871 წელში ელზასისა და ლოტარინგიის ანექსიით შეცდომა ჩაიდინა. მომავალში არც ერთ გერმანელისათვის არ უნდა არსებობდეს ელზას—ლოტარინგიის საკითხი, 2) იმპერატორის გერმანიამ 1914 წელს დანაშაული ჩაიდინა, როდესაც ერის უფლების წინააღმდეგ გაილაშქრა და დაარღვია ბელგიის ნეიტრალიტეტი. 3) რესპუბლიკანური გერმანია თვლის თავის თავალდებულად გამოასწოროს ის ზიანი, რომელიც გერმანიამ ბელგიისა და საფრანგეთს მიაყენა. გერმანიის დელეგატებმა სხვებთან ერთად ამ რეზოლიუციას ხმა მისცეს.

**ვრანგელის წარმომადგენელი პარიზში.**

**პარიზი.** აგვ. 20. საფრანგეთის პრესა აქვეყნებს პარიზში მყოფ ვრანგელის წარმომადგენლის გენ. ჭმურუზის განცხადებას. გენერალი მიუოზი გაგზავნილი იყო სამხედრო სამინისტროსთან მოსალაპარაკებლად ყირიმის დახმარების შესახებ. მას განუცხადებია: გენერალმა ვრანგელმა გადასწყვიტა ებრძოლოს ბოლშევიკებს ბოლომდე. თუ მას მოკავშირეებმა ტეხნიკური ხასიათის დახმარება არ აღმოუჩინეს, ის იარაღს არ დაყრის და იძულებული გახდება პარტიზანულ ომს მიმართოს.

**საარის ოლქში.**

**ლონდონი.** აგვ. 22. საარის ნეიტრალურ ზონაში აღმოაჩინეს გერმანელთა დიდი ორგანიზაცია, რომელსაც მიზნათ ქონდა დასახული საარის ოლქი ძალდატანებით შეერთებია გერმანიასთან. გამოირკვა, რომ ეს ორგანიზაცია აქეზებდა ადგილობრივ მცხოვრებთ და ურჩევდა რომ ისინი საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. გამოირკვა, რომ ორგანიზაციას კავშირი ჰქონია გერმანიის მთავრობასთან. აღმოჩნდა გერმანიის შტაბის მიწერ-მოწერა და ინსტრუქციები. ამავე შტაბს აჯანყების მოსაწყობად 5 მილიონი მარკა გადაუდვია.

**ამერიკა საფრანგეთი და რუსეთი.**

**პარიზი.** 22 აგვ. მილერანმა განაცხადა: შეერთებული შტატები სავსებით იზიარებს საფრანგეთის აზრს რუსეთის საბჭოთა მთავრობის ცნობის შეუწყნარებლობის შესახებ. საბჭოთა დიპლომატებთან ერთად მუშაობა ამაოა. საფრანგეთი და შეერთებული შტატები ცდილობენ ხელი შეუწყონ რუსეთის აღდგენას. ამ მხრივ საფრანგეთმა გადასდგა პირველი ნაბიჯი და იცნო ვრანგელის მთავრობა.

**საბჭოთა რუსეთი და გერმანია.**

**ვარშავა.** აგვისტოს 16. პოლონეთის მთავრობას ხელთ ჩაუვარდა საბუთები, საიდანაც სჩანს, რომ საბჭოთა მთავრობას გერმანიასთან კავშირი ჰქონია.

**კერძო რკინის გზათა ნაციონალიზაცია.**

**ბერლინი.** აგვ. 30. გერმანიის მთავრობა შეუდგა კერძო რკინის გზათა ნაციონალიზაციის განხორციელებას.

**აქსელროდის აზრი.**

გაზეთი „პრავდას" მოჰყავს აქსელროდის აზრი მენშევიკებისა და ბოლშევიკების გაერთიანებული მოღვაწეობის შესახებ. აქსელროდი აცხადებს: მე ფიქრადაც არ მომივა, რომ ჩემმა ამხანაგებმა, რომლებიც თავგანწირულად იცავენ რუსეთში სოციალიზმის დროშას, შესწყვიტონ ბრძოლა იმ რეჟიმთან, რომელმაც სოციალიზმს სახელი გაუტეხა და რუსეთის რევოლიუცია დაღუპა.

---

## იტალიის რადიო-ცნობა

**რომი,** 31 აგვ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სფორცამ მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი.

**მადრიდი,** 31 აგვ. მთავრობა გადადგა.

**ლიონი,** სექტ. 1. პარიზის ობსერვატორიის ვარსკვლავთ მრიცხველმა ნო-

[illegible]

## საქართველო და სომხეთი

[illegible]

## ახალი ამბები

[illegible]

თვის და ამის გამო შესაძლებელ დაბრკოლებების გადასალახავად აგენტთა საგანგებო მოძრავი საყარაულოები დაწესდა. პურის ბიურო ითხოვს: იმ შემთხვევაში, თუ რამე გაუგებრობა დაიბადება, ბიუროს აგენტებს მიმართონ.

→ **ახალი სასოფლო სამეურნეო სკოლები.** მიწად მოქმედების მინისტრმა სასოფლო სამეურნეო განყოფილებას წინადადება მისცა დაუგზავნოს ყველა ერობას სასოფლო-სამეურნეო განათლების ახალი დებულება. ამასთანავე ერობებს წინადადება მიეცათ დაუყონებლივ შეუდგენ 2 წლიან სასოფლო-სამეურნეო კურსების გახსნას. მეცადინეობა სასოფლო-სამეურნეო სკოლებში ოქტომბრის პირველს დაიწყება.

→ **ქალაქის საქმეები.** ქალაქის გამგეობა ღებულობს ზომებს სასმელი წყლის ღირსების გასაუმჯობესებლად და გასაწმენდად. წყლის უსუფთაობის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ შაბი არ იშოვება, რაც წინეთ ნოვგოროდის გუბერნიიდან და შემდეგ კი განჯიდან მოჰქონდათ. ახლა, საქართველოში ხანგრძლივ ძებნის შემდეგ ორ ადგილას აღმოაჩინეს შაბის მადანი; ერთი სანაინში და მეორე ქუთაისის მაზრაში. სანაინის შაბი არ გამოდგა. ქუთაისის მაზრაში კი—უკვე შეუდგენ შაბის დამზადებას.

→ **აღწერის შედეგი.** სტატისტიკური კომიტეტი 1917 წელს გორის მაზრაში მომხდარი აღწერის შედეგების დაბეჭდვას ახლო ხანში დაასრულებს. ახალქალაქის, ახალციხის და ბორჩალოს მაზრების აღწერის შედეგები დაიბეჭდა და ერობებს დაეგზავნა.

→ **გატანის ნებართვა.** მომარაგების სამინისტრო იუწყება: მომავალში პურისა და ხორბლის თფილისიდან რკინის გზით გატანის ნებართვის მიღება შეიძლება მომარაგების სამინისტროში, სასოფლო გზებით გატანის ნებართვა კი—ქალაქის თვითმართველობაში.

→ **ხე-ტყის ქარხანათა რიცხვი.** საქართველოში ბათომის ოლქის გამოკლებით 51 ხე-ტყის ქარხანა ყოფილა. აქედან 31 თფილისის, 18 ქუთაისის გუბერნიაში და 2 სოხუმის ოლქში. მომარაგების სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია, რომ საქართველოს ხე ტყე საექსპორტოდ უფრო უკეთ იქნას გამოყენებული, ქარხნების რიცხვი ან უნდა გამრავლდეს და ან არსებულ ქარხნებში მუშაობა უნდა გაფართოვდეს. მოხსენებაში სამინისტრო სწერს: საჭიროა ქარხნებს მივაწოდოთ ნედლი მასალა და ხერხები. უნდა ვიზრუნოთ ახალი ქარხნების დაარსებაზედაც. ხეებსა და დახერხილ ფიცრებზე სასტიკი კონტროლი უნდა დაწესდეს. ხე-ტყის გაიაფება რესპუბლიკაში აშენებლობის საქმის გაძლიერებას გამოიწვევს.

→ **საკრედიტო ამხანაგობათა ურთიერთობის საბჭომ** საურთიერთო ნდობის საზოგადოებას მიმართა განცხადებით, რომელშიაც საბჭო აღნიშნავს, რომ საურთიერთო ნდობის საზოგადოების წესდება და მისი მოქმედება თანამედროვე პირობების და ახალი ვაჭრობა-მრეწველობის მოთხოვნილებებს არ შეეფერება. საურთიერთო ნდობის საზოგადოების მოქმედების გამოსაცოცხლებლად საბჭოს აზრით საჭიროა წესდების შეცვლა და საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა კომერციულ ბანკებად გარდაქმნა. თავის მიმართვაში საბჭო წინადადებას იძლევა დაამთავრონ ეს ნამდვილი მუშაობა სულ მოკლე ხანში, რომ იანვრის პირველისათვის შეიძლებოდეს საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა კომერციულ ბანკებად გარდაქმნა.

→ **სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის გამორკვევა.** თფილისში დაბრუნდა ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის წარმომადგენელი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მაზრების სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის გამორკვევა. გამორკვევის დროს მან 640 საანკეტო ფურცელი შეკრიბა, აქედან სენაკის ერობიდან 98 პასუხი მიიღო, ზუგდიდის ერობიდან 95, გორის 59, ბორჩალოს ერობიდან 48. ნაკლებად არის წარმოდგენილი სოხუმის ოლქი. გამონაკლისს შეადგენს კოდორის მაზრა, რომელმაც საკმაო რიცხვი ანკეტისა გამოგზავნა. ნაკლებად არის აგრეთვე წარმოდგენილი სიღნაღის, თფილისის და თელავის მაზრები. ახალქალაქის და თიანეთის მაზრებიდან სრულიად არ არის მიღებული პასუხი. სუსტად გამოეხმაურა ამას ლეჩხუმის მაზრა. ყველა იმ მაზრაში, რომელსაც ანკეტზე პასუხი სრულიად არ მოუციათ, ან სუსტად გამოეხმაურენ საგანგებო სტატისტიკოსები გაიგზავნა.

→ **ქუთაისიდან** შრომის და ფინანსთა სამინისტროებმა შემდეგი დეპეშა მიიღო: კვირაზე მეტია მოსამსახურენი მაგიდიდან ვღებულობთ სულზე ნახევარ გირვანქა მჭადს. არის შემთხვევები, როდესაც ამასაც მოკლებული ვართ. არ მიგვიღია უკანასკნელი დეკრეტით კუთვნილი განსხვავება. უკიდურესად დარჩენილი მოსამსახურენი სიმშილს განვიცდით. სანამ სურსათის მოწოდება მოწესრიგდება ოდეს, გთხოვთ საჩქაროდ განკარგულებას სურსათის მაგივრად მოსამსახურეებზე ნაღდი ფულის მიცემის ბაზრის მიხედვით. დაყოვნება გამოიწვევს მოსამსახურეთა სიმშილით დახოცვას, რასაც გთხოვთ მიაქციოთ შესაფერი ყურადღება. დასავლეთ საქართველოს ხაზინების და გადასახადთა ინსპექციების მოსამსახურეთა კავშირის გამგეობა.

→ **სამხედრო სკოლაში** თხოვნების მიღება გრძელდება ახალგაზრდებს 1 ლი ხარისხის უფლებით, ე. ი. გადაყვანილთ მეშვიდე კლასში, შეუძლიათ თხოვნების შემოტანა მათი მიღების შესახებ ვაკანსიების შესაბამად.

→ ილია ნიკოლოზის ძე გოგავამ გამოიწერა სოფელ გოჩა-ჯიხაიშის კოოპერატივ „ანზორიში“ „ერთობა“ პირველი სექტემბრიდან ორი თვით.

## გოტიეს.

თქვენს მშობლიურ სავანეს დაარქვით: პიმოდანი.
იგი მარად ფერობდა დელაროშის ფერებით.
ჩვენ ნათელი გველოდა არამცირეოდენი,
არამცირეოდენი დაფნით და დაფერებით.
ბედნიერი იგი დრო! ეხლა უფრო ანგარა!
თვითეულში ელავდა ბრიუმელი, ან ლოზენი.
ნეტავი სად არიან ყველა ეს უანგარო,
პოეტები, მხატვრები, ქალნი მომიმოზენი?
ირგვლივ მოგონებების თეთრი ნაკადებია,
ირგვლივ ნაკადებია მსუბუქი და ფარული.
მყუდროებინა ბრწყინავდა როგორც აკადემია,
გამოთქმებით ცხოვრება იყო ლეგენდარული.
ჩვენ ვეძებდით რამე ღრმას, გვსურდა რამე ქართული,
რითმა—ნიუანსები, რიტმიული ლანდები.
სად არიან ყველა ამ მორევებში ჩართული
მენადები—გედები და ფრთები—ინფანტები?
ეხლა კი გზა ეკლებზე უფრო უეკლესია
არავისთვის—არ არის სული უფრო სათელი
გმადლობთ!! მარტოდ მარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია
და საკვდავად მიღიმის, გოტიე, შენი ნათელი!

**გალაკტიონ ტაბიძე.**

ტფილისი 1920.
1 ენკენისთვე.

→ **მესამე რაიონის კოლექტივის** მდივნის ხელით საქ. ს. დ. მ. პარტიის სომხურმა სექციამ მიიღო მუშათა გაზეთ „ბანვორი ძაინის“ სასარგებლოთ 1455 მანეთი, რისთვისაც სექცია მადლობას უძღვნის.

→ **გაზეთების შეწყვეტა.** ფულის გამოუგზავნელობის გამო დღეს უკანასკნელად ეგზავნება გაზეთები ოზურგეთს. კანტორა „[illegible]“.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, საღ. 6 ს., დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. ამ სხდომაზე სარევიზიო კომისიის წევრებიც უნდა დაესწრონ.

— დღეს, 2 სექტემბერს საღამოს 6 საათზე კოლექტივის ბინაზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მე-6 ე რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია მეორე რაიონის მორიგი სხდომა.

— დღეს, 2 სექტემბერს, საღ. 5 ს., შესდგება ს. ს. დ. მ. პ. [illegible] რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა (კახეთის ქ. № 1).

## მასალები მუშათა დელეგაციას.

**სტატისტიკური ცნობები.**

საქართველოს ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა რუსეთში მიმავალ მუშათა დელეგაციას საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების დამახასიათებელი ვრცელი სტატისტიკური ცნობები და დიაგრამები მიაწოდა. სტატისტიკური ცნობები შემდეგ საკითხებს ეხება: 1) მცხოვრებთა რიცხვს და განაწილებას, 2) მემინდვრეობას, 3) მევენახეობას, 4) მებაღეობას, 5) მებოსტნეობას, 6) მეთამბაქოებას, 7) ჩაის კულტურას, 8) მეაბრეშუმობას, 9) მეფუტკრეობას, 10) მესაქონლეობას, 11) ქალაქებში და სოფლებში პირველ საჭიროების საგნებზე 1913—1920 წლამდე ფასების მოძრაობას, 12) სამთო-მადნო სიმდიდრის მდგომარეობას, 13) მარგანეცის მრეწველობას. 14) კოოპერატიული საქმის მდგომარეობას, 15) დამფუძნებელი კრების მოქმედებას 16) სახელმწიფო დაწესებულებებს, 17) სახელმწიფო მამულებს და წარმოებებს, 18) ფოსტის, ტელეგრაფის და ტელეფონის მოქმედებას, 19) მუშების მდგომარეობის გამოკვლევას და სხვა. (დ. ს.)

## სააგარაკო საქმე

მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით აბასთუმანში შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს აბასთუმნის აღდგენისა და მომავალში მისი განვითარების გეგმის გამომუშავება. ამ კომისიას ჰქონდა მთელი რიგი სხდომებისა, რომელზედაც განსაზღვრეს აბასთუმნის აგარაკის საზღვარი. კომისიამ დაათვალიერა აგარაკის აღდგენის საქმეში მნიშვნელობის მქონე შენობები და სასურველად არა სცნო რომ აგარაკი აბასთუმნის ქალაქის თვითმართველობის ხელში დარჩეს. ქალაქის თვითმართველობის ძალღონეს აღემატება ასეთი საქმის გაძღოლა და ამიტომ აბასთუმნის ქალაქის თვითმართველობა საკანონმდებლო წესით უნდა გაუქმდეს, ხოლო ქალაქ აბასთუმნის მაგივრად უნდა დაარსდეს აგარაკი აბასთუმანი და დღეს რომ ქ. აბასთუმნის თვითმართველობას უფლება აქვს, ის უნდა გადაეცეს კოლეგიალურ ორგანოს, რომელსაც უნდა ეწოდოს აგარაკ აბასთუმნის მართველობა ამ კოლეგიალურ ორგანოში უნდა შედიოდეს: აგარაკის გამგე, ინჟინერი ამშენებელი, საადმინისტრაციო და სამეურნეო ნაწილის უფროსი, ახალციხის სამაზრო ერობის წარმომადგენელი და ტყის გამგე. აგარაკის მმართველობის თავმჯდომარეს კომისიის აზრით დანიშნავს მთავრობის თავმჯდომარე, მხოლოდ ამ მმართველობის წევრებისაგან კომისიამ სასურველად მიიჩნია, რომ ყველა აგარაკი ჯანმრთელობის დეპარტამენტის მმართველობაში გადავიდეს, მაგრამ რომ დრო არ დაიკარგოს, აგარაკი აბასთუმანი ისე, როგორც სხვა აგარაკები, ამ ჟამად მიწადმოქმედების სამინისტროს უნდა გადაეცეს. (ს. დ. ს.)

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაში.** ბაქოს „კრასნი ვოინ“-ის № 186-ში (25 აგვისტო) დაბეჭდილია შემდეგი: „მთელ ყუბანს მოედვნენ გათავხედებულ თათრების ბრბოები, რომლებმაც ვრანგელის აგენტების აგიტაციის გავლენით უკანასკნელ ხანს დაიწყეს ყაჩაღობა და სადგურებზე თავდასხმა. იტაცებენ ოთხფეხ საქონელს, საქონელს, იარაღს და საბჭოთა მუშაკებს სცემენ. ამის გამო ჩრდილოეთ კავკასიის განსაკუთრებულმა კომისარმა ამხ. ლანგერმა ყუბანის და თერგის ოლქების, სტავროპოლის გუბერნიის და შავი ზღვის სანაპიროს მცხოვრებთ მიმართა მოწოდებით, სადაც უკანასკნელათ აფრთხილებს სოფლებს და წინადადებას აძლევს: 1) დაუყონებლივ შეიპყრონ და საბჭოთა მთავრობას გადასცენ თეთრ-გვარდიელთა ყველა ბელადები და აგიტატორები, 2) იარაღი აჰყრონ თეთრ-მწვანე ბრბოებს და მთავრობას ჩააბარონ მთელი იარაღი, 3) ამ განცხადების გამოსვლის დღიდან 7 დღის განმავლობაში გასცენ მიმალული ოფიცრები და საეჭვო პირები, 4) იმ მწვანეებს, რომელნიც თავის ბელადებს და ხელმძღვანელს განდევნიან, სასჯელი ეპატიებათ.

**რაზე სწუხან მუშები: მიაქციეთ ყურადღება ტყვეებს.** უკანასკნელ ხანებში მუშათა უბნებში გაჩნდნენ ტყვე პოლონელები, რომლებიც დადიან სახლიდან სახლში და პურს თხოულობენ. როდესაც მუშები ტყობილობენ, რომ ისინი ტყვე-პოლონელები არიან, მოყვენ მათ კითხვას: როგორია ცხოვრება პოლონეთში, როგორი წესებია იქ და სხვ. ტყვეები უპასუხებენ: რომ იქ, პოლონეთში, კარგი ცხოვრებაა, მუშები შრომისათვის ბევრს იღებენ, ყველაფერი იაფია და სხვ. ზოგიერთი შეუგნებელი მუშები პოლონელების პასუხის მოსმენის შემდეგ ამბობენ: აი, ცხოვრება და სამოთხე იქ ყოფილა და სხვა. მაგრამ როდესაც შეგნებული ამხანაგები ტყვეებს შეეკითხებიან: „თუ ეს ასეა, მაშ, რათ არის თქვენში გაფიცვები“, ისინი სიჩუმით უპასუხებენ. ასეთ თავისუფალ აგიტაციას ეწევიან ჩვენში თეთრ-გვარდიელთა აგენტები. ეს დაუშვებელია. ამას უნდა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს. საჭიროა ტყვეებში ხშირ-ხშირათ მიტინგების მოწყობა და მათი პოლიტიკურათ აღზრდა, მაშინ ისინი შეიგნებენ, რომ პოლონეთში ისინი სცხოვრობენ ცოდნებათ, აქ კი თავისუფალნი არიან და თუ რუსეთში სურსათ-სანოვაგე არ არის, ეს არის პოლონეთის და მთელი ქვეყნის პანიკის ბრალი. (ხარკოვის „კომუნისტი“ № 176.

**ვისთვისაა ხარკოვის თეატრები?** ნარობრაზმა უნდა აგვიხსნას: როგორ შეუძლია მუშა - მოსამსახურეს მოხვდეს თეატრში, როცა საშუალოთ მას ეძლევა დღეში 100 მან., ბილეთის საშუალო ფასი კი არის 150—200 მანეთი? ჩვენ ვკითხულობთ: ვისთვის არსებობს თეატრები ხარკოვში? („ხარკოვის კომუნისტი“ № 169).

**დაუშვებელი მოვლენა.** ყოველ დღე ვხედავთ ავტომობილებით მოსეირნე ხალხს, შიგ ქალებიც უზით, განსაკუთრებით ამას ვამჩნევთ საღამოობით, ალბათ „უმწიკვლო გასეირნებაა ქალაქ გარეთ“. ყველაფერი ეს სწარმოებს სამსახურის საქმეების დროშის ქვეშ. მაშინ, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ არა გვაქვს სათბობი მასალა, არ არის ავტო-მაშინა, ამ დროს ავტომობილი მიმოქრის ეკატერინოსლავის ქუჩით „съ безъзаботнымъ бабьемъ“, მათ გზაზე ხვდებათ „გრუზოვიკები“,—სანიტარული ავტომობილები, დაჭრილი წითელ არმიელებით. ისინი ხედავენ ყველა ამას და, ცხადია, ადგილობრივ მთავრობაზე ცუდ შთაბეჭდილებით წავლენ ფრონტზე. აღშფოთების გრძნობას იწვევს ასეთი სანახაობა არა მარტო წითელ არმიელებში, არამედ —თვითეულ პარტიისან მოქალაქეში, მით უმეტეს, კომუნისტში. დროა შეწყვეტილ იქმნას ასეთი უმსგავსოებანი. ავტომობილებით სიარულის კონტროლი უნდა მიენდოს რომელიმე დაწესებულებას სამხედრო უწყებისა და დამაშავებნი, მიუხედავათ მათი მდგომარეობისა სამსახურის მხრივ, სასტიკ პასუხისგებაში უნდა იქმნან მიცემულნი. დეე, ვისგანაც ჯერ არს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ შენიშვნას, ვინაიდან დღითი-დღე ძლიერდება ასეთი უმსგავსოება. (ხარ. „კომუნ.“ № 171).

**სამეურნეო „დრუჟინები“.** მოსავლის აღები „დრუჟინის“ მომწყობი კომისია აცხადებს, რომ მსურველებს მიეცემათ: 1) ჯამაგირი 1200 მ. 2000 მანეთამდე 8 საათის სამუშაო დღისათვის. 2 საათის ზედმეტი მუშაობისათვის მიეცემათ 3 საათის ქირა. ვინც 2 საათზე მეტს იმუშავებს ზედმეტს მიეცემა ორმაგი. 2) სასურსათო „პაიკი“ თვეში 30 გირვანქა ფქვილი, 30 გირვ. მწვანილი და ორი ფუთი კართოფილი, $7\frac{1}{2}$ გირვ. ხორცი, $7\frac{1}{2}$ გირვ. კრუპა, ერთი გირვანქა ზეთი 2 გირვანქა მარილი (ხარ. „კომუნისტი“ № 171).

**ბრძოლა ბანდებთან.** პოლტავა, 28 ივლ. ბულანოვის ტყეში ზურგის შტაბის რაზმის მიერ გაწყვეტილ იქნა ბელენკოს ბანდა. 200 ბანდიტზე მეტი მდინარე ვორსკლაში იქნა ჩაყრილი, სადაც ნაწილი მეამბოხეთა დაიხრჩო, და ნარჩენი კი დახოცილ იქნა. თვითონ ბელენკო და მისი მხლებლები მოკლულ იქნენ. ხელთ ვიგდეთ ბრბოს მთელი „ობოზი“, 20 ცხენი, ურემი, 5 ბომბა და ვინტოვკები ხელთ ვიგდეთ აგრეთვე ბანდის „შტაბის“ მთელი კანცელარია 55 ბეჭედით და სხვა საბუთებით. (ხარ. „კომ.“ № 170).

**კერძო ვაჭრობის გაუქმება პეტერბურგში.** პეტერბურგში დაკეტეს ყველა კერძო სავაჭროები. ვაჭრები ყველანი სამუშაოებზე გაგზავნეს. („კრ. ვოინ.“ № 185).

**ფეხშიშველი „რესპუბლიკა.“** უპარტიო მუშა-გლეხ ქალების ყრილობის თავმჯდომარემ პეტროგრადის მუშა ქალ ჩერნიშოვამ ყრილობა ფეხშიშველათ ჩაატარა. პრეზიდიუმის წევრთა შორის იყვნენ ფეხშიშველი დელეგატი ქალები რას იზამ! არ არის ფეხსაცმელი მაგრამ მებრძოლი დელეგატები სულით მაგარი და ცოცხალი არიან. ერთი ღირსეულათ ხელმძღვანელობს დიდ ყრილობას, მეორე კი მოხსენებებს კითხულობს. არავის არ აკვირვებს თავმჯდომარის ფეხშიშველობა, არავის არ სცხვენია ეს, ეს ხომ საქმიანი ყრილობაა მუშა ქალებისა. დიდ წვალებაში იბადება ახალი, ცხოვრება და ის 600 დელეგატი ქალი რომელთაც ზურგს უკან ათეული ათასი ქალები სდგანან, სათანადო სერიოზულობით უდგებიან საკითხს. ფეხშიშველი თავმჯდომარე ქალი გვაგონებს საბჭოთა რესპუბლიკას: მშიერი, ფეხშიშველი, ცივი, ის მშვიდათ და დარსეულად აკეთებს რევოლიუციის საქმეებს. ფეხშიშველი მიდის ჩვენი ქვეყანა შორს მის განთავისუფლებისაკენ. საბჭოთა რესპუბლიკა ფეხშიშველათ ხელმძღვანელობს საერთაშორისო პროლეტარიატის გაცხარებულ ბრძოლას. ბორის გოლდინი. (ხარ. „პროლეტარი“ № 39.)

## „წითელ“ აზერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

**მკვდრების მცარცველი ჯარის უფროსები.** მე-11-ე არმიის რევტრიბუნალმა „არმგოსპიტალის“ № 2 ნაჩალნიკ მ. ჩუგუევს და გოსპიტალის ვონკომ ია. ეელბუნოვს ორ-ორი თვით ციხე მიუსაჯა იმისთვის, რომ ესენი სისტემატიურათ სცარცვავდნენ მკვდარ წითელ არმიელებს. („კრასნი ვოინ“ № 188).

**დეზერტირობა წერა-კითხვის სწავლებაში.** წითელ არმიელი ზაპლეტინ მიხაილი წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლიდან გაქცევის გამო დეზერტირათ გამოაცხადეს. („კრ. ვოინ“ № 188).

**ლანძღვა-გინება საბჭოთა ჯარში.** მე-12-ე სამხედრო საკვებ მატარებლის მოსამსახურეებმა დაადგინეს—უპატიოსნო სიტყვების ხმარებისთვის ამხანაგები დააჯარიმონ 15—25 მანეთით. („კრ. ვოინ“ № 188).

**ბოლშევიკები წუხდებიან.** ბაქოს „კრასნი ვოინის“ № 185-ში ვკითხულობთ: „დაიწყო აჯანყება სამხრეთ რუსეთში. ისევ მოხდა შეიარაღებული აჯანყებები და მეამბოხეთა შეიარაღებული შეტაკება ქართულ ჯარებთან“.

**პურის რაციონი.** 21 აგვისტოდან პირველ კატეგორიის მცხოვრებთ მუშებს აძლევენ დღეში $1\frac{1}{2}$ გირ. პურს, მეორე კატეგორიისას, მოსამსახურეებს 1 გირ. და მესამე კატეგორიის მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს ნახევარ გირვანქას („კრ. ვოინ“ № 185).

**მიმოსვლის აღდგენა თფილისთან.** ამ დღეებში განახლდება საეგზავრო მიმოსვლა თფილისთან. აღდგენილ ფოსტის ხიდთან შემოიღებენ პაროლს („კრ. ვოინ“ № 185).

**სპეკულიანტი ჯარის უფროსები.** მე-11 არმიის რევვოენ ტრიბუნალმა გაარჩია მე-11 არმიის ლაზარეთების ლ. ეპტმანის, მოქ. ვლად. შტეინბერგის და 11 ინჟენერების ეონკომის ვ. ჟურავლევის საქმე, რომელთაც სპეკულიანტობა ბრალდებათ. ჟურავლევს მიუსაჯეს 15 წლით ციხე, შტეინბერგს—8 წ., გეტმანს—3 წლით. („კრ. ვოინ“ № 185)

**დეზერტირობა.** ყარაბაღის პოლკის მე 3 ასეულის უფროსს, პრინც კაჯარ იდრის ყაფლან კოლის სამოქალაქო ომის გათავებამდე იძულებითი მუშაობა გადაუწყვიტეს. კაჯარს ჯარში გაუწევია აგიტაცია, რომელსაც გამოუწვევია ჯარისკაცთა მასიური დეზერტირობა. (კრ. ვოინ“ № 185).

**ვოენმორების გასამართლება.** საზღვაო სამხედრო ტრიბუნალმა გაარჩია ვოენმორების კოსტრომინის, ოსიპოვის, ზორინის და სხ. საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ თვითნებობა და უკანონო მოქმედება. კოსტრომინს დახვრეტა გადაუწყვიტეს. ოსიპოვს 20 წლით ციხე, ზორინს 10 წლ.

„გრაბილოვკა“. „კრასნი ვოინის“ № 182 ში წითელ არმიელი ა. ხ. სწერს: „ბაზარზე ყველაფერი ბევრია, მაგრამ კაცი ვერაფერს მიუდგება. კიდევ დიდხანს გაგრძელდება ასეთი ცარცვა („грабиловка“)?

**კომუნისტებო, წინ გასწით!** ამ სათაურით მოთავსებულია ბაქოს „კომუნისტში“ ნ. ჟურბენკოს წერილი, სადაც სხვათა შორის ავტორი აცხადებს, რომ მთელი მუშაობა—სახალხო მეურნეობის, სახელმწიფო აპარატის მართვა გამგეობის, ერთი სიტყვით, მუშაობა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, მიმართული კომუნიზმის დამკვიდრებისაკენ—არის პარტიული მუშაობა. აქედან დასკვნის, რომ მთელი სიმძიმე ამ მუშაობისა უნდა დააწვეს კომუნისტს. „ჩვეულებრივ ყოველ დღიურ სამუშაოს თავის განყოფილებაში, თავის სახელოსნოში ის ასრულებს, როგორც ყოველივე მოქალაქე საბჭოთა რესპუბლიკისა. „როგორც კომუნისტი, ის უნდა მუშაობდეს მოქალაქეზე მეტს. ეს ზედმეტი მუშაობა იმას უნდა ჩაეთვალოს, როგორც პარტიულ მოვალეობის ასრულება, როგორც ერთგვარი აუცილებელი ვალდებულება. კომუნისტი ზეინკალი, როგორც ყოველი მუშა,—მუშაობს 8 საათს. როგორც კომუნისტმა მან უნდა იმუშაოს არა მარა-მეტ მეტი საათი ან და 8 საათში გააკეთოს ის, რასაც სხვა 10 საათში გააკეთებს.. თუ ის ამას არ გააკეთებს, და არ გააკეთებს ყოველ დღე, მაშინ ის არ ასრულებს პარტიულ მოვალეობას და პარტიული წესდების პირველი პარაგრაფის მიხედვით არ შეიძლება ჩაითვალოს პარტიის წევრად. (ბაქოს „კომუნისტი“ № 75).

## ნეკროლოგი.

**ამხ. მათე ტულუშის ხსოვნას**

20 ივნისს 1920 წ. როკის უღელტეხილზე ბანდებთან შეტაკების დროს მოკლულ იქნა გვარდიელი ამხ. მათე ზოს. ტულუში, რომელიც ტყვეობიდან ეხლა ხან იყო დაბრუნებული გერმანიიდან.

ამხ. მათემ არ იცოდა რა იყო დასვენება, ბედმა მის ახალგაზრდობას არგუნა ომი და მოუსვენრობა. ძნელია საქართველოს მუშათა კლასისათვის ასეთი გმირის დაკარგვა, რომელიც თავისი პირადი ბედნიერებაზედ კი არა ფიქრობდა არამედ საერთო მდგომარეობაზე და, როდესაც ჩვენი ქვეყნის საერთო მდგომარეობა მოითხოვს, მსხვერპლად ეწირება მას. მათეს უკანასკნელი სიტყვები იყო არა ცრემლი და გოდება, არამედ ფრონტის სიმაგრე გამარჯვება.

საქართველოს დემოკრატიამ ამხანაგ მათეს სახით დაჰკარგა საუკეთესო მებრძოლი.

მშვიდობით დაუვიწყარო ამხანაგო გმირო! გერგო გმირული სიკვდილი და ასეთმა გმირულმა თავ-განწირვამ შენი და შენისთანებისამ მოგვიყვანა ჩვენ სასიქადულო გამარჯვებამდე.

ელიზბ. ტოყვა.

## აფხაზეთში

**სოხუმი.** აგვ. 25. აფხაზეთის კომისარიატმა მიიღო ზომები უმაღლეს და წვრილ მეიჯარეთა შორის მიწების გასანაწილებლად. სახელმწიფო ფონდიდან გლეხებისათვის გასანაწილებლად გამოყოფილი 483 დეს. და 1505 კვად. საჟენი მიწა სამურზაყანოს 12 თემის გლეხობას გადაეცა. აფხაზეთის კომისარიატმა დაადგინა მოაწყოს ვაჭრობა-მრეწველობის საბჭო. საბჭოში შედის კომისარიატის წარმომადგენელი, ორი პასუხისმგებელი მოსამსახურე და კომერციული აგენტი. საზოგადოებრივ წრეებში აღიძრა საკითხი ერობის, ქალაქების, კოოპერაციის და ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლების საბჭოში მონაწილეობის მიღების შესახებ (დ. ს.)

## რკინის გზაზე

(რეზოლიუცია, მიღებული 30 აგვისტოს რკ. გზ. მუშ. მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის სამტრედიის რაიონის გამგეობის და ყველა სექციების გამგეობების შეერთებული კრების მიერ, დღეს, 30 აგვისტოს სამტრედიის წევის დარგში მომხდარ გაფიცვის შესახებ).

მიუხედავად რაიონულ გამგეობის და სექციების გამგეობების შეერთებული კრების გაფრთხილებისა სპეციალურ დელეგატების საშუალებით, რომ წევის დარგის მუშა-მოსამსახურენი გონს მოსულიყვნენ და არ გაფიცულიყვნენ, რასაც ადგილი ჰქონდა დღეს ზოგიერთ დეზორგანიზატორ დაბეჯილ მუშა-მოსამსახურეების ძალდატანებით თუ მოტყუებით, ორი საათზედ დეპოს საყვირის მიცემით და მუშაობაზედ მოხსნით,—წევის დარგის მუშა-მოსამსახურეები მაინც გაფიცნენ სრულიად ანარქიულად და დეზორგანიზატორების ჩირქი მოსცხეს პროფესიონალურ მოძრაობას.

ამის გამო შეერთებული კრება რაიონული გამგეობის და სექციების გამგეობებისა, გმობს რა სასტიკად წევის დარგის მუშა-მოსამსახურეების ამ ანარქიულ საქციელს, ირჩევს სპეციალურ საგამომძიებლო კომისიას, რომელსაც ავალებს მკაცრად გამოიძიოს, თუ ვინ იყო გამომწვევი და მომწყობი ამ ანარქიისა და ისინი მკაცრად დაისაჯონ, როგორც მომწყობნი, კავშირის წესდების დამრღვევნი და პროფესიონალურ მოძრაობის შემარცხვენელნი.

წინადადება მიეცეს წევის დარგის მუშა-მოსამსახურეებს გონს მოვიდნენ და მშვიდობიანად დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაოს.

შეერთებული კრება რაიონული გამგეობის და სექციების გამგეობებისა.

## უცხოეთი

**გერმანიის „დამოუკიდებელნი“ და მე-3 ინტერნაციონალი.**

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო ის პირობები, რომლებიც მე-3 ინტერნაციონალის აღმ. კომიტეტმა დაუყენა გერმანიის „დამოუკიდებლებს“. ქვემოთ მოგვყავს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა მოსკოვის 10 პუნქტს გერმანიის „დამოუკიდებელ“ სოციალისტთა პარტიის პრესა.

„ფრეიჰეიტ“ მა უპასუხა დუმილით, რამაც გაოცება და უკმაყოფილება გამოიწვია ადგილებზე და პროვინციალურ პარტიულ პრესაში „ფრეიჰეიტ“ არაფერს არ სწერს აგრეთვე პარტიის ხელმძღვანელთა კონფერენციის შესახებ, რომელიც მოწვეული იყო ბოლშევიკების 10 პუნქტის განსახილველად. ამ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 26 კაცმა, მათ შორის იყვნენ: კრისპინი, ლედებური, ეიხჰორნი, ლუიზა ციცი, დ-რ მაიერი, ადოლფ ჰოფმანი, მალცანი, რიხარდ მიულერი, ცებილი, დიტმანი, დ-რ ლევენშტეინი, ანნა ნემიც, დ-რ გერცფელდი, შტეკერი და ბრეიტშეიდი და სხვ. კამათი უმთავრესად სწარმოებდა მე-10 პუნქტის გარშემო—„დამოუკიდებელნი“ „სპარტაკელებს“ უნდა შეუერთდნენ. მომხსენებელი იყო კრისპინი. დიდი და ცხარე კამათის შემდეგ გამოირკვა შეთანხმების შეუძლებლობა.

შემოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: „გერმანიის დამოუკიდებელი სოცი-

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის საწყობი
ა. ი. მაჭარაძის და ვ. ა. ღოღონავასი
ქ. ბათომი დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა № 26
სადაც მოიპოვება ყოველ გვარი ავეჯეულობა: და ჭურჭელი თუჯის, ფარფორის, ფაიანსის, ემალის, ალუმინის და სხვა. [illegible] ავეჯეულობას. (2396— 10—2)

დემოკრატიული პარტია არ შეუერთდება სპარტაკელებს იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მას დაემუქრებიან მე-3 ინტერნაციონალში არ დაშვებას". ამ რეზოლუციას ხმა მისცა 27. თავი შეიკავა 9. გადასწყვიტეს ეს რეზოლუცია მოსკოვში გაეგზავნათ. სხდომაზედვე იყო შიკრიკი მოსკოვიდან მაგრამ რეზოლუცია მას ვერ მიანდვეს. „ფორვერსტი"-ს ცნობით „დამოუკიდებლების" მემარცხენე ფრთა იმის მომხრეა, რომ პირდაპირ შეუერთდენ მოსკოვის ინტერნაციონალს. ცენტრალური კომიტეტის და მისი ორგანოს წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას აწარმოებს „დამოუკიდებლების" გაზ. „ჰამბურგის სახალხო გაზეთი". ამ ბრძოლას ხელმძღვანელობს უმკროსი მეიერი. ეს გაზეთი ამას წინად სწერდა, რომ პარტიის ცენტრ. ორგანომ „ფრეიჰეიტ"-მა არ გამოაქვეყნა ის წერილი, რომელიც რადეკმა მე-3 ინტერნაციონალს დავალებით „დამოუკიდებლებს" გამოუგზავნა. „ფრეი ჰეიტს" არ ამოუღია აგრეთვე ხმა მოსკოვში დელეგატების გასაგზავნათ ბოლშევიკების წინადადებაზე. „ფრეი ჰეიტ"-მა არ გამოაქვეყნა აგრეთვე ჯერ მე-3 ინტერნაციონალის აღმ. კომიტეტის საპასუხო მიმართვა გერმანიის მუშებისადმი. ამის მაგიერ გაზეთმა ხსენებულ მიმართვის კრიტიკული ანალიზი მოათავსა, „ფრეიჰეიტ-"ის რედაქტორმა გილფერდინგმა ჯერ კიდევ ლეიპციგის ყრილობაზე ქენევის კონგრესს დაუჭირა მხარი".

## სახალხო გვარდიაში

ცხინვალი. სექცია და მისი დრ. დასი 13 აგვისტოს გაემგზავრა ცხინვალისაკენ, თავისი სამხედრო მუზიკით.

გვარდიელები ოლტაცებით შეხვდნენ დრ. დასის ჩამოსვლას.

საღამოს 14 აგვისტოს გაიმართა გვარდიელების და ჯარისკაცთათვის უფასო წარმოდგენა, დაესწრო გარეშე საზოგადოებაც.

წარმოდგენილ იქმნა „სიძე სიმამრი", რომელიც საუცხოვოთ ჩატარდა. გვარდიელები ძლიერ კმაყოფილი დარჩენ.

15 აგვისტოს საღამოს 7 საათიდან ხალხმა იწყო თეატრისაკენ დენა, მთელი დარბაზი გაივსო. ხალხი გარეთაც დარჩა.

წარმოდგენილ იქმნა: „დედა და შვილი" „მაღაროს უფროსი მუშა" და „მკვდრები სდგებიან".

შემდეგ გაიმართა ვახშამი, აუქციონი, ფოსტა და ცეკვა-თამაში. გათენებამდე ხალხი მხიარულობდა და არსად წესრიგი არ დარღვეულა.

17 აგვისტოს სექცია და დრ. დასი თფილისს დაბრუნდენ. ო—ძე.

—

თანახმად ახალციხის საოლქო და საველე შტაბის დადგენილებისა 18 ივლისს 1920 წ. (ოქმი 20) ახალციხის გვარდიის ათასეულის გვარდიელნი პირველი გუნდისა რაფაელ ეფრემაშვილი, კოსტან. ბალახაშვილი, გიგო პეტრეს ძე მამულაშვილი, ივანე აბულაძე, პეტრე ივანეს ძე ობოლაშვილი, გიგო სერგოს ძე ჩილაშვილი, სიმონ ივანეს ძე ყუდიჯანაშვილი და მეორე გუნდისა ბაგრატ მელიქიძე—როგორც გვარდიის სამსახურისათვის უღირსნი და მავნე ელემენტები სრულიად ირიცხებიან გვარდიიდან. მათ ეკრძალებათ შესვლა გვარდიის სამსახურში. სამაზრო შტაბი.

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 26 აგვისტოს შესდგა საქ. სოც. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი. ამხ. თ. ვასაძე აცნობს კრებას სომხურ სექციის მდგომარეობას, გამოირკვა, რომ სომხურ სექციაში პარტიული და კულტურული მუშაობა მინელებულა, ორგანო „ბან ვორი ძაინის" ტირაჟიც დაცემულა. კოლექტივი ადგენს: დაევალოს ამხანაგებს მიიღონ ყოველგვარი ზომები გაზ. „ბანვორი ძაინის" გასავრცელებლათ და ხელი შეუწყონ სომხურ სექციის გაძლიერება განმტკიცებას. მცირე კოლექტივების წარმომადგენლებს დაევალა გაგზავნონ თითო წარმომადგენელი სომხურ სექციაში; კოლექტივმა თავის მხრით სომხ. სექც. წარმომადგენლათ გაგზავნა ამხ. გიორგაძე. კოლექტივმა გაზ. „ბანვორი ძაინის" ფონდის გასაძლიერებლად ერთდროული დახმარების სახით გადასდო 3000 მანეთი და გამოსთქვა იმედი რომ ამ მიზნისათვის სხვა კოლექტივები გამოიღებენ თავიანთ წვლილს და ხელს შეუწყობენ გაზეთის არსებობას.

ვინაიდან კოლექტივს ამ ჟამად არ ჰყავს მუდმივი დაქირავებული მდივანი, სხდომა მდივნის თანამდებობაზე შესაფერ ამხანაგის გამონახვას ავალებს პრეზიდიუმს და კოლექტივის ყველა წევრებს. მდივანი მოწვეულ უნდა იქნას ერთი თვის სტაჟით, რომელსაც დაენიშნება თვიურად 6000 მანეთი.

კოლექტივმა მოისმინა 1 ლ აგვისტოს გამართულ საღამოს მომწყობ კომისიის წევ. ლ. კვიკვიძის მოხსენება ანგარიშების შესახებ, გამოირკვა, რომ საღამ. შემოსულა 190.240 მან., გასულა 88.696 მ. წმინდა შემოსავალი დარჩენილა 101.553 მანეთი. მოხსენება მიღებულ იქნა ცნობათ და დაადგინა: მადლობა გამოეცხადოს ამხ. კომისიის წევრებს და ყველა იმ პირებს, რომლებმაც ენერგიულათ იშრომეს ამ საქმისათვის.

თედ. ხუხუნაიშვილი.

—

ხაშური 19 აგვისტოს მოწვეულ იქნა წლიური კრება ს. ს. დ. მ. პ. ხაშურის ორგანიზაციისა. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დ. მელიქაძე, თავმჯდომარის ამხ. ს. ბიბილიძე და მდივნათ გრ. ჭაბუკიანი. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) კომიტეტის მოქმედების წლიური ანგარიშების განხილვა და დამტკიცება, 2) მოხსენება სამაზრო კომიტეტის ბიუროს წარმომადგენლის, 3) მიმდინარე საკითხები და 4) კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. მარიამიძე. მოხსენებიდან ირკვევა რომ წარსული წლის კომიტეტის მუშაობასთან შედარებით წრევანდელ კომიტეტს დიდი ნაბიჯები გადაუდგამს, როგორც იდეიურის, ისე ფინანსიურის მხრივ.*) კომიტეტის მოხსენების შემდეგ, დაბეჭდილი ჩვენს ორგანოში.

მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის სახელით ამხ. ნ. სიხარულიძე. მოხსენებელი ადასტურებს კომიტეტის წარმომადგენელ მოხსენებას, მხოლოდ მიუთითებს მის ერთ დიდ ნაკლზე, რომელიც მდგომარეობს სოფლად უმოქმედობაში, რაც მომავალში უნდა გამოსწორებულ იქნას. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: მოისმინა რა მოხსენება ხაშ. ორგანიზაციის კომიტეტის და სარევიზიო კომისიისა კრება დაკმაყოფილებულად სთვლის მას და გადადის მორიგ საკითხზე.

მეორე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი ა. ქვათაძე. ის ეხება პარტიულ მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას სოფლად და გლეხობაში სოციალისტურ პროპაგანდა აგიტაციის გაწევის საჭიროებას.

უნდა მოეწყოს ყველა სათემოში კოლექტივები ანუ ცენტრალური ორგანიზაცია და ქვე კოლექტივები სოფლებში, ამისათვის საჭიროა ხაშურის ახლად არჩეულმა კომიტეტმა გამოყოს თავის წევრებისგან 10 კაცი თემში კოლექტივის და ქვეკოლექტივების ტეხნიკურად მოსაწყობად. მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „კრება იღებს რა მხედველობაში ამხ. ა. ქვათაძის მოხსენებას, საჭიროდ სცნობს ცხოვრებაში გატარებულ იქნას მის მიერ წამოყენებული დებულებები".

დასასრულს მოხდა კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. კომიტეტში შედის 16 წევრი, აქედან 12 წევრ. ირჩევენ იაჩეიკები, ხოლო 4-ს საზოგადო კრება.

პირველი იაჩეიკიდან არჩეულ იქნენ: ს. ბაბლიძე, დ. სხილაძე, კვინიკაძე. კანდიდატებათ: ნინუა და ტაბატაძე, მეორე იაჩეიკიდან: დ. ჩიკვაიძე, ბერაძე. კანდიდატათ ბითაძე. მესამე იაჩეიკიდან: მარიამიძე, შათირიშვილი. კანდიდატათ: ლოლაძე. მეოთხე იაჩეიკიდან: გოგოლაძე, მაჭარაშვილი, ხაჭაპურიძე კანდიდატათ ბიბილაშვილი მეხუთე იაჩ: ყაჭიეშვილი, ბზიავა. კანდიდატათ მუშკუდიანი, თალაკვაძისა. დამატებითი წევრები ამორჩეულნი საზოგადო კრების მიერ არიან: შ. მხეიძე, ნ. პატარიძე, ი. თედიაა.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: შ. ხელაძე, ნ. მიქაძე, დ. მელიქაძე და კანდიდატათ არ. ხუნდაძე.

გრ. ჭაბუკიანი.

## მუშათა შორის

ბარცხანა. ვისაც რევოლიუციის დღეებში უნახავს ბარცხანა, გაცნობია მის ცხოვრებას, უნახავს ბარცხანის მრავალ ოთახებიანი სკოლა, კოოპერატივი გრავალრიცხოვან წევრებით, სამკითხველო წიგნსაცავი, რომელიც ყოველ საღამო სავსე იყო ბარცხანის მუშებით, უნახავს ბარცხანის თეატრი, სადაც გამუდმებით იმართებოდა პარტიული და საზოგადოებრივი კრებები, იმართებოდა წარმოდგენები და კონცერტები; ვისაც უნახავს რევოლიუციის შემდეგ უცებ ფრთა გაშლილი, ამაყი ბარცხანა—ის დღეს მის დანახვაზე მწარე საგონებელში ჩავარდება და ველარ იცნობს ამ ბათომის რევოლიუციის აკვანს.

ოსმალთა ურდოებმა საშინლათ დაასახიჩრეს. ბარცხანა, როგორც ქ. ბათომის ცენტრიდან დაშორებული, განაპირა ნხარე, ყველაზე მეტათ დაზიანდა მათგან. ჯერ ერთი, ბარცხანის მუშების სახლები სრულიათ გაძარცული და ბევრი დანგრეულ იქმნა. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ ყველა დაწესებულებებიდან: კოოპერატივ სკოლა-სამკითხველოდან გარდა გაბინძურებულ შენობისა (თათრებს ცხენები ეხებათ შიგ) არაფერი დარჩენილა, ყველაფერი დატაცებულ იქნა, თეატრის შენობა კი სრულიათ დასწვეს. რაც ოსმალებს გადურჩა, ის ინგლისის სიპაებმა გაანადგურეს. გაუჩინეს ცეცხლი უზარმაზარ შენობას, რომელშიც თვითონ იყვნენ დაბინავებული, და რომელიც ბარცხანის საზოგადოების კუთვნილებას შეადგენდა და სრულიად გადასწვეს. არც კოოპერატივი, არც სამკითხველო, არც თეატრი დღეს აქ არ არსებობს. არის

*) ანგარიშები კომიტეტის უკვე იყო

[illegible]

ლოს აქ ჩამოსვლამდი, რასაკვირველია, ყოველივე ფიქრი შესახებ ამ ყაზარმების ბარცხანის ხელში გადასვლისა, ოცნება იყო. მაგრამ დღეს ბარცხანის მუშებმა, დაიმედებულთ იმით, რომ მათ სასიცოცხლო საჭიროებას ანგარიშს გაუწევენ, მიმართეს თხოვნით, სადაც ჯერ არის, რომ ეს ყაზარმები ბარცხანას გადასცემოდა. ეს ყაზარმები იძლევა ერთად ერთ საშუალებას და შესაძლებლობას ბარცხანაში კვლავ კულტურულ მუშაობის აღდგენისა, რადგან როგორც ვსთქვით, აქ მეტი შესაფერი შენობა არ იშოვება, და ახალის აშენებაზე კი დღევანდელ პირობებში ფიქრიც ზედმეტია. ამავე დროს ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ რაიმე მოთხოვნილება იქნება ბათომში ყაზარმებზე, ეს მოთხოვნილება შესაძლებელია ადვილათ დაკმაყოფილებულ იქნეს ბარცხანის ყაზარმების გარეშეც, ვინაიდან ბათომი სავსეა ასეთებით. ამიტომ არც ერთ საქმეს ზიანი იმით არ მიეყენება, რომ ბარცხანის ყაზარმები გადაეცეს კულტურულ მიზნებისთვის ადგილობრივ საზოგადოებას.

ზემოაღნიშნულ თხოვნაზე ამ ყაზარმების შესახებ უკანასკნელი, გადამწყვეტი პასუხი ბარცხანას არ მიუღია. საჭიროა ბარცხანის მუშების სამართლიან მოთხოვნას ღირსეული ყურადღება მიექცეს და ანგარიში გაეწიოს. ბარცხანა დარბეულია, ის საჭიროებს რეალურ დახმარებას. Valeri.

— —

თფილისი. თუთუნის ქარხნის „შვიდი მნათობის" მუშათა გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა. მოთხოვნილებანი შემდეგი იყო: 1) დაუყონებლივ შეტანილ იქნას ას-ასი თუმანი სასურსათო კასაში, 2) გათანასწორება ძველ ქარხნებთან, 3) მოითხოვდნენ მეორე სამას თუმანს, რომელიც არ მიუღიათ, 4) ჯამაგირებით თავის დროზედ დაურიგონ მუშებს, 5) შევბულებით ვისაც არ უსარგებლნია, მიეცეს ყველას. გაფიცვა სრული გამარჯვებით დამთავრდა 28 აგვისტოს გაფიცვა მოხდა კავშირის ნებართვით. X

## პროვინცია

ქუთაისი. 26 აგვისტოს მუშათა კლუბ ინტერნაციონალში წაიკითხა შინაარსიანი ლექცია საქართველოს ცენტრალურ კოოპ. კავშირის ინსტრუქტორმა ამხ. ი. ირემაშვილმა. ლექციის წინ ქუთაისის რაიონის კოოპ. კავშირის თავმჯდომარემ ამხ. პ. თალაკვაძემ მოკლე სიტყვით წარმოსთქვა. აღნიშნა ჩვენ მუშათა კლასის გამარჯვება პოლიტიკურ სფეროში, ისიც, რომ საქართველოს მუშათა კლასმა, რომლის ხელშიაც არის პოლიტიკური ძალა-უფლება, უნდა გამოიყენოს და გაბატონდეს ეკონომიურის სფეროშიც. აი, ამ გამარჯვებაში კოოპერაციამ უდიდესი როლი უნდა შეასრულოსო. შემდეგ ამხ. ირემაშვილმა წაიკითხა ლექცია კოოპერაციაზე. ლექტორი დაწვრილებით შეეხო ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას, დაუკავშირა მას ჩვენი კოოპერატიული მოძრაობა და აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური კრიზისის შენელებას ხელს შეუწყობს კოოპერაციის განვითარება და განსაკუთრებით კი საკუთარი შინაური წარმოების გაჩაღება და ჩვენი ქვეყნის ნედლი მასალის ადგილობრივათ დამუშავება. ლექტორი დაწვრილებით ეხება, თუ ამ მხრივ რა და რა ნაბიჯები აქვს გადადგმული საქართოველოს ცენტრალურ კოოპ. კავშირს და სხვ. შემდეგ ლექტორი შეეხო მუშათა კოოპ. შექმნას და გაერთიანებას თუ ამ მხრივ რა ნაბიჯები იქმნა გადადგმული ქ. თფილისში, რომ იქ მთელი მუშათა კოოპერატივები უნდა შეუერთდეს „აღორძინებას" და სხვ. ლექტორმა დაწვრილებით გააცნო აუდიტორიას ის თეზისები, რომელიც საქარ. კოოპ. ცენ. კავშირმა პროფ. კავ. სეკრეტარიატმა შეთანხმებით გამოიმუშავა. დაბოლოს ლექტორმა მიუთითა თფილისის მაგალითზე და ურჩია რომ ამ მხრივ მთელი მუშათა კოოპ. გაერთიანება უნდა მოხდეს მთელი რესპუბლიკის საზღვრებშიო. ლექციის შემდეგ ლექტორმა მსმენელებს უჩვენა ბუნდოვანი სურათები, ინგლისის, გერმანიის და სხვა ქვეყნების ცხოვრებიდან, კოოპერატივების საფაჭროების, ქარხნების და საერთაშორისო კოოპერატივების მეთაურებისა. თვითეულ სურათზე ჩვენების დროს ლექტორი იძლეოდა განმარტებას, რაც სურათის მნახველზე მთლიან შთაბეჭდილებას ახდენდა როგორც გადმომცემს, ამხ. ირემაშვილმა საქართველოს ცენტრალურ კოოპ. კავ-

[illegible]

ბაძე, ნ. ჭუმბურიძე და დ. თვალჭრელიძე (ნეიმანის მაგიერ იყო მოწვეული იქნენ ს. მოსტრაფეშვილი და მ. ახალაძე. უკრავდა სამხედრო ორკესტრი და ზურნა. წარმოდგენილ იქნა: „დედა და შვილი" ერთ მოქმედებიანი: „რაც არ მერგება არ შემერგება" 3 მოქმედებიანი, რომელშიაც უსასყიდლოდ ღებულობდნენ მონაწილეობას შემდეგი პირები: ქ-ნნი რომანიშვილი-დგებუაძისა და ბარათაშვილისა; ბ-ნნი: ბაქრაძე, ბადრიძე, პოლკ. ცაგარელი, თვალჭრელიძე, კავსაძე და ახობაძე. აღნიშნულ სცენის მოყვარეებმა საუცხოვოდ შეასრულეს თავიანთი როლები, რითაც საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა. ამის შემდეგ გაიმართა ცეკვა და ვახშამი საერთოდ საღამო კარგად ჩატარდა, მაყურებლები დიდათ ნასიამოვნები დაიშალნენ. ბილეთების გაყიდვაში და შემოწირულების შეკრებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი პირები: ქ-ნი კ—ნა აბაშიძისა, მ. ჟღენტისა და მოწყალების და ტყეშელაშვილისა; ბ-ნი თემის თავმჯდომარე ვაჩნაძე და ნემსაძე. აგრეთვე დიდი დახმარება აღმოვიჩინა კლიმატიური სადგურის უფროსმა ექიმმა ქიქოძემ. დიდათ ხელი შეგვიწყო პირველი კლასის მებუფეტემ, რაზედაც აღნიშნულთ ულრმეს მადლობას ვსწირავთ ხელის გამართვისათვის; აგრეთვე დიდათ პატივი დაგვდეს მეექვსე ათას. უფრ. გენ. თავაძემ უსასყიდლოთ მუსიკის დათმობით, და რკინის გზის თეატრის გამგეობამ უფასო თეატრის შენობის დათმობით.

ფულად შემოსწირეს შემდეგმა პირებმა: ქ-მა აბელიანმა 500 მან., გარდაფხაძისამ 300 მან. ბ-ნ ვ. ვაჩნაძემ 270 მ. კ. გისევმა 380 მან. ექ. საყვარელიძემ 200 მ. ექ. მირზაშვილმა 450 მ. ანდრონიკაშვილმა 120 მ. ვორტავმა 150 მ. ი. მოფურა 150 მ. შ. მამიაშვილმა 250 მ. ი. ადგვარელი, კირმანი, გ. ყალაბეგაშვილი, ნ. ჭელიძემ, ექ. ხერში, ავადმყოფი პე. კარიერი ნ. ბერიშვილი. მ. ჩიაშვილი, პლატონი, ექ. ცისკარიშვილი, ადანია, ა. ნაცვალიშვილი, დ. ბეზარაშვილი, ლ. ბეზარაშვილი ი. ბექანაშვილი. ბ. კაზარიძისა, დ. მინდაძე, მ. ნიბლაძე, შ. წალდაძე, ლ. ცისკარიძე, თ. გომელაურისა, გ. თალაკვაძისა, გ პიკიურიშვილი, ი. ბაღდასაროვი, ს. არავიშვილი და ვ. გაბეზარდაშვილმა შემოსწირეს ას-ასი მანეთი. (100 მ.). მ. შალოყაშვილი, ნ. ჭიკაშვილი, ნ. მირზოევი, შ. პუშკოვი, ბაქრაძე, ლევანი, ა. აქსიევი, მ. ოგანოვი, ა. მაშველი, მ. ჭავჭავაძე, რასკაია, ვ. ორთავია, ნ. ჯანდიერისა, პ. ბებანიანი, ბ. მ. ყაზაროვისა, ზახაროვი, ს. მატინოვი, ყაზაროვი, კ. ფხაკაშვილი, ტერმესეროვისა, თ. თერტეროვისა, ბ. აკოპოვი, შ. შენგელაია, ი. ვეტრიაშვილი, კ. სიჩიულე, კ. ოსკანოვი, პ. ჩაბიანი, დ. ხვედელიძე, რაჟდენი, შ. ბეზარაშვილი, სვბეზარაშვილი, ა. ბეზარაშვილი, ი. ბეზარაშვილი, ს. ჯამშიაშვილი, ვ. თელია, ლ. შანშიაშვილი, კ. ცისკარიშვილი, მ. ცისკარიშვილისა, გ. პეტრიაშვილისა, გ. ბეზარაშვილი, დ. დათუაშვილი, გ. მაჭავარიანი. ა. ტერ-სტეფანოვისა, ს. ბაღდასაროვი, გ. პაპუნაშვილი, ვ. ჭანიაშვილი, გ. ი. ჭანიაშვილი, წ. არუთუნოვი, ვ. არუთუნოვი, ო. აჯმამუროვისა, დეკ. ასაჩინიშვილი, გ. მურუსევი, დ. აჯმამულოვი, ი. ნიბლიაშვილი, პ. ძველიშვილი, ნ. ალიხანოვი, გ. სოლხინი, ს. სარიაშვილი, გ. მექენშტოვი, ვ. ფანცულია, მ. თეიშერ, ა. დავიდოვი, ე. ლურგლიშვილი, თ. მახაევისა, ბ. შავლეხაშვილი, პ. შავლეხაშვილი, ნ. გაზეოშარი, აქტიორი, დ. მესხიეიშვილი, ბ. მიქაძე, ა. ბილიშვილი, გ. გოჩიაშვილი, დ. ანდრონიკაშვილი, ვ. იმერელიშვილი, იოსებაშვილი, ა. თევდორაშვილი, ა. ნიკოლაიშვილი, დ. გუსიევმა და დებულიშვილმა შემოსწირეს ხუთ-ხუთი თუმანი, იყო წვრილი შემოწირულება ხუთ მანეთიდან ოც მანეთამდი, რაზედაც შემომწირველთ მადლობას ვუცხადებთ. საერთო ზემოთ აღნიშნული დამხმარეთ (იყო ის ნივთიერად თუ ფიზიკურად) ულრმეს მადლობას ვსწირავთ ყველა ის დაჭრილდაავადებულნი, რომელთა შორისაც განაწილდა წმინდა შემოსავალი ამ საღამოისა.

კომისიის მინდობილობით შ. ჭუმბურიძე.

## წერილი რედ. მიმართ *)

„ერთობის" 179 ნომერში იყო მოთავსებული ვინმე საწყალი მუშის წერილი

*) ეს წერილი ართაანიდან დეპეშით მივიღეთ.

[illegible]

გარეშე ძალა აღმართსა ხნავდა, ჩვენ ოსმალოს სამსახურში ვიყავით.

რაც შეეხება ხალხის უნდობლობას, ამაზედ ტყვილად სწუხდება საწყალი მუშა. ვისაც უნდა კეთილ ინებოს და ჰკითხოს ხალხს. თუმც არა ერთხელ დაუმტკიცებია ხალხს ნება და სურვილი და ერთხელაც არ ყოფილა ნდობა ხალხისა ვისმე საზარალოთ გამოგვეყენებინოს. საწყალი მუშა ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მთავრობა და მკითხველი საზოგადოება, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ყველანი დარწმუნებულია ჩვენს ერთგულ მუშაობაში საქართველოს სასარგებლოთ, რომელსაც საქმენი დალადებენ და არა მოჭირილი ცნობები.

კაპიტანი რაიმბეგ ხიმშიაშვილი, უფროსი ლეიტენანტები: ხერგინბეგ გახანბეგოვი, იხმაილ ფაგრათ-ზადე, ლეიტენანტები: მამედ ბეგ ცახილოვი და მამედ გადჟიევი.

## ჩვენი ფოსტა

გიგო ჯიქიას შემოიარეთ რედაქციაში.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

## განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისთვის. მიხეილის ქუჩა № 24, მიღება 4—6 ს. (2827 1—1)

კერძო სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით (შეშხაპუნება „606" და „914") და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმი
ბ. ბ. რამენდიკი
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. მკურნავი შინაგან ბავშვების და სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების სნეულებათა. ავათმყოფების მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 121 ტელეფონი 5—42. (თ. 2841)

ექიმი
ბ. ი. [illegible]
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს [illegible] საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 32, [illegible]

ექიმის
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 28 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (თ. 2577)

[illegible]

ექიმი
ქ. გ. მართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, გაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი მ. ა. შაშიანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914"), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 [illegible] [illegible] ქ. № 33, (1238 25—4)

თბილისში
ექიმი
ს. ვ. აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606". კ. სიამაშვილის სახლში. (თ. 2634.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914, ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. ხასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. [illegible] 6 ნახ. საათამდე. 2722—)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.

ექიმი
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს საზებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
თ. მ. ფილოიანისა
ორთავე სქესის-თვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება. (2838—10—1)

პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ
„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი"
იღებს ყოველგვარ საკერავს, რომელსაც თავის დროზე ასრულებს. აგრეთვე ამავე ჯგუფთა სკოლაში, რომელიც რამოდენიმე წელიწადი არსებობს, მიიღება მოწაფე ქალები ჭრა, კერვის, ქარგვის, და სხვადასხვა ხელსაქმის სასწავლებლათ, რომლებთანაც იმეცადინებენ საზოგადოებაში ცნობილი დამსახურებული მასწავლებლები. სკოლა სრულ უფლებიანია. მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. მისამართი: ვერის დაღმართი, № 3, ბინა 9, ეზოში. (2775—10—4)

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება
ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 15 სექტემბერს დილის 12 საათზე მოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით
საჯარო ვაჭრობით
იჯარით გაიცემა ერთის წლის ვადით ქ. თფილისში დაბინავებულ ჯარის ნაწილების ნაწილებში ხორცის და ცხიმის ჩაბარება.
დაწვრილებით ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში, ბარიათინსკის ქუჩა № 10 დილის 9 საათიდან შუადღის სამ საათამდის. (ნ. 3—2)